

140

1977



ЗОРНИЦА

3

1977





თბილისის 118-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზინაიდა დადიანი მსაუბრება მესუთეკალს ეწეობს.

თქვენი გულის გასახეობა

თქვენ გვასწავლეთ წერა-კითხვა, არ იღლებით ჩვენზე ზრუნვით, და ჩვენც გულში ჩავიხატეთ თქვენგან თქმული სიტყვა ბრძნული.

თავზე ისე დაგვტრიალებთ, როგორც ჩიტი თავის ბარტყებს, ჩვენ ეგ ზრუნვა მშობლიური, სიცოცხლეს და ხალისს გვმატებს.

გვინდა შრომის, კარგი სწავლის ერთგულები ვიყოთ მარად, ჩვენი სკოლის სასახელოდ, თქვენი გულის გასახარად.

მირზა მიქაბერიძე, სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, III კლასი.

პიონერული საბჭო რვათი წლისწინ მსწავლეობის თვეში!

ჩვენ განსაკუთრებით მაღიერი ვართ ჩვენი სკოლის მასწავლებელთა 80-ათასიანი რაზმისა იმისათვის, რომ ისინი ამდენ სიტბოლსა და სიყვარულს აქსოვენ მოზარდი თაობის—ჩვენი მომავლის აღზრდას, დიდი პატივისცემითა და მაღიერებით ვიხსენებთ ჩვენს შესანიშნავ მასწავლებლებს, რომლებსაც თითოეული ჩვენგანი ბევრ რამეს უნდა უმაღლედს, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მასწავლებლებს—ყველა ამ დაუცხრომედ და მზრუნვედ მშრომელს, ჩვენი საზოგადოების წევრთა სუდიერი სახის სახედოვან ჩამომქნელებს—განსწავლულ, ზნეობრივად და ფიზიკურად გამაწრთობილ ადამიანებს.

ბ. ა. შ. მ. ვ. ა. რ. დ. ნ. ა. ძ. ი. ს. საანბარიშო მოხსენებლიდან
საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე.

მ ა მ ა რ რ ხ ა ი ი ძ ე

მე ამ ქუჩაზე ხშირად დავდივარ,
აქ ცხოვრობს ჩემი მასწავლებელი,
თითქოს მოწაფე ვხდები თავიდან,
თითქოს სკოლისკენ მიჭირავს გეზი,

თითქოს მივყვები სკოლის დერეფანს,
ისეთი კრძალვა-რიდით ვივსები.

ვხედავ, ასწორებს რვეულს, ცუდ ნაწერს,
ორიანისთვის ვით ენანება,
ხელს ხან ძირს დასწევს, ხან მაღლა ასწევს,
ვიცი, ყოყმანი რით დამთავრდება,
ჩასწერს რვეულში — განმეორებით,
შემისრულეთ ეს დავალება.

დასცქერის ქუჩას, როგორც შუქურა,
განათებული მისი სარკმელი,
ჩემს ბავშვობასაც ასე უყურა,
ასწორა ჩემი ცუდი ნაწერი.
რამდენჯერ თვალზე ცრემლი შემეშრო,
აღერსიანი დედური ხელით...
მე ამ ქუჩაზე ხშირად დავდივარ,
აქ ცხოვრობს ჩემი მასწავლებელი!!!



პიონერი

3
მარტი
1977

საბავშვო საბავშვო საბავშვო
სახელობის პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ბათუმის 1926 წლიდან

კ. მარტის ს. ს. ს. ს.

წიგნი მეგობრული

ნაზი ქილასონია

მასწავლებელზე წერას სიამოვნებით შევუდექი: რომ დამათენდეს კიდევ, არ მენანება. მასწავლებლის გახსენება ხომ დაუვიწყარ ბავშვობაში დაბრუნებას ნიშნავს!

მრავალი მათგანი მახსოვს, ახლა ყველა თავისებურად მიხმობს — ზოგი სინაზით, ზოგი სიმკაცრით, ზოგი თბილად, ზოგი... მრისხანედ. (რა ვუყოთ, ასეთებიც მახსოვს). დაბალ კლასებში ვინც მასწავლიდა, ის უფრო ცხადიერად მიდგას თვალწინ, მათი ხმა, მათი თვალები, მათი ჩაცმულობაც კი. სოფლად ეს ადამიანები დიდის პატივისცემით სარგებლობდნენ, დიდი სახელით. მათ წინაშე დიდიან-პატარიანად ყველას მოკრძალებით ეჭირა თავი. ეს ომამდე იყო. სხვათა შორის, მაშინ მასწავლებელთა უმრავლესობა კაცები იყვნენ. თუმცა რა უმრავლესობა? — შვიდწლოდღი ზოგჯერ ხუთიოდე პედაგოგი ემაროდა.

ასე ვიტყვით ხოლმე: „კვირკველია მასწავლებელი“, „წულეისკირი მასწავლებელი“, „ბლიაძე მასწავლებელი“. ქალიც ვერა — „ქრისტინე მასწავლებელი“. წავიდნენ, ზოგი ომმა გაკრიფა, ზოგი საკუთარ რაიონსა თუ უმაღლეს სასწავლებელს დაუბრუნდა... ჰოდა, იმ წულეისკირმა მასწავლებელმა ერთხელ დაფაზე რიცხვების სახელწოდება მეგრულად ჩამოგვიწერა. ასე: ერთი—ართი, ორი—ჟირი, სამი—სუმი.

ქართლური სოფლის ორლობეში მივაქანებდით აბგებს და გავიძახოდით: ერთი—ართი, ორი—ჟირი, სამი—სუმი! რა უნდოდა წულეისკირ მასწავლებელს, რას

აპირებდა, ვერ გეტყვით. ომმა არ დააცალა, — ვინ იცის, მეგრულის შესწავლას იზრახებოდა. არ იქნებოდა ურიგო. მახსოვს, რუსული ენის მასწავლებლად ერთი მოხუცი მოგვევლინა — ანანჩენკო. შესანიშნავად იცოდა ქართული. საღამოობით ეზოში გიტარას მომართავდა და რომანსებს მღეროდა. ვინ იცის, რა უჭირდა, რა ულხინდა. უჭირდა ალბათ, თორემ მარტოხელი რად შემოეკედლებოდა უცხო სოფელს... ამას რომ ვწერ, ახლა გული მტკივა. მაშინ რა გვესმოდა ბედის ტრიალისა. მაშინ ეს მასწავლებლები მდგმურებად ცხოვრობდნენ. ერთ-მა მათგანმა, რაღაც ტყაპუჭის მსგავსი რომ ჰქონდა დღენიადე წამოსხმული, თავის ბებერ დიასახლისს ერთ ზაფხულს ის ტყაპუჭი შეატოვა და ისე „გადიკარგა“. ორიოდე წიგნიც იქ დარჩა. იმ ტყაპუჭს დიასახლისი გადაიცვამდა ხოლმე და ისე ხვდებოდა საღამოჯამს ნახირს, თანაც წუწუნებდა, იცოდებდა მდგმურს. მე კი „თიმსარიანი“ და დავით კლდიაშვილის თხზულებანი შევირჩინე „გაქცეული“ მასწავლებლის ბიბლიოთეკიდან. უჭირდათ. უჭირდათ. მაგრამ ცოდნის სანთელს მაინც გვინთებდნენ — უშურველად, უანგაროდ. მოთმინება რომ გადაუწყდებოდათ, — არც ყურის ახვევას ერიდებოდნენ, მაგრამ ამით მათ ავტორიტეტს არაფერი აკლდებოდა ჩვენს თვალში.

მეგრე თბილისი. ბარნოვის ქუჩა და პეტრიაშვილის დაღმართი. 25-ე, ქალთა მე-1 საშუალო სკოლები. 25-ე შემოდგომის ქარებით იყო სავსე, ქალთა მე-1 — წვიმებით, მოკირწყულ დაღმართზე თავქვე ჩამავალი წვიმიანი სიმღერებით. გუშინდელ დღესავით მახსოვს: ტალახიან, მოკლე თეთრ წინდებს საწვიმრიდან გადმომჩქეფარე წყალში ვრეცხავ და ისე ვიცვამ სველ-სველს. ეს არც მე მეუცხოვება და არც ომით შეჭირვებულ პედაგოგებს. მაგრამ იმ პირქუმ შეჭირვებაში ნათელი სახეები ერთი-ათად საყვარელი ხდებიან. როდესაც ბაბო მჭედლიძე ოთარაანთ ქვრივის მონოლოგს დასჭექს: „დედა-შვილობაში ორი თვალი რათ უნდა იყოსო“?, გაყინული საკლასო ოთახი მაღლიანი ქართულით მქუხარებს; როდესაც ვასილ აბდუშელიშვილი დაფასთან გამოსულებს გვიწყობდა, — თვალზე უცინის. ეს თვლები გვამშვიდებს; როდესაც თამარ ხელაშვილი ფიქრიანად გვზვერავს, მწყერივით ვინაბები, დირექტორის — თინა ჩიჩუას მოხდენილი გარეგნობა კი იმედით მავსებს — ქვეყნად კვლავ არსებობს მშვენიერება. აი მეც, ახლა რომ პალტოსაც ვერ ვიხდი კლასში, — შეიძლება ასეთივე მომხიბვლელი გავხდებოდა, ზეგ, როდისმე. ხომ გადაივლის ომი, ხომ დაბრუნდება მამა. მამასთან

ერთად — მშვიდობიანი დღეები დაიპურო! ახლა კი მუხლებზე ვიღებ პირისფერ ბერეტს და ვამბობ: „ბავშვებო, ეს ხატაპურია!“ შეიძლება რომელიმე პედაგოგს ესმის კიდევ, მაგრამ თვალს გვარიდებს, ანდა ვერ გვისწორებს. მე მიყვარს ქალთა მეექვსე, რადგან მის დაღმართზე დავინახე პირველად დიდი გალაკტიონ ტაბიძე. პეტრიაშვილის ქუჩა მელიქიშვილის ქუჩას რომ უერთდება, ერთხელ ბავშვებს ახოვანი სპარტაკ ბაღაშვილი შემოგვეფეთა:

„შენ გუშინ შეგვხვდი, ასწიე წარბი და შემოგვხედე დაღლილ თვალებით. ეკრანზე უფრო მოჩანხარ კარგი, ასე ვფიქრობდით ბავშვი ქალები“, — მივიტანე მეორე დღეს კლასში ეს ლექსი. ლიტერატურის მასწავლებელმა მე უკვე მითხრა, მთელი კლასის წინაშე, რომ მისი სიამაყე ვარ. მაგრამ ეს სიამაყე საშინლად მოიკოტლებს სხვა საგნებში. ლექსების ბრალია. ლექსებითაა თავი გატენილი. მაშინ ლადო ასათიანს ვაღმერთებდით: „შენ როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ცოცხალთა შორის მე არ ვიქნები“. — რაღაც ძრწოლივით ვკითხულობდი ამ სტრიქონებს. ჩვენს მაშინდელ ცხელ თავებს დამშვიდება სჭირდებოდა. ეს სიმშვიდე ნაწილობრივ ინგლისური ენის პედაგოგმა ნათელა კემელავამ მომაპოვებინა, — ჰუმორით მიიღობდა მაშინდელ განწყობილებას. შინაც დამიბარა, ჩემი ლექსებიც წაიკითხა: „შენ არ გამაქლიოკე, როგორც ხდება მარად, ჩვიდმეტი წლის ლირიკოსს მიგზავნიდი ბარათს“ — ამ რამდენიმე წლის წინ მიგუძღვენი მხოლოდ ეს ბჭვარები. ჰო, ბარათსაც მიგზავნიდა სოფლად, რაღაცას წუხდა კიდევ ჩემთვის...

ცხოვრება, სიცოცხლე თავისი გზით მიდიოდა. ომი უკვე დამთავრებული იყო. გაუქმდა საბარათო სისტემა. მაინც არ მჯეროდა, ვაითუ მაღაზიაში პური არ ეყოს ამდენ ხალხს-მეთქი. უკვე სასტუმროდ ვემზადებოდი. ყველაზე ძნელი საგნის ყველაზე მკაცრზე მასწავლებელმა ხელი ჩამომართვა და მითხრა, — შენ ნუ გეშინია, ფილოლოგიურზე აუცილებლად მოხვდებით.

...იქუხა ნამაისარმა ცამ. მშვენიერმა ქუქუნა წვიმამ პეტრიაშვილის დაღმართზე ერთიანად გაგვლუმპა. ისევ სკოლის წინკარს შევაფარეთ თავი. ისევ „გამიოხრა“ ის თეთრი წინდები ტალახიანმა შხეფებმა. ატესტატი მეგობარს მივანდე. წინდები გავიხადე და მჩქეფარე დარღანაზე გაგრეცხე, მთელი სკოლის თვალწინ, უკვე თავმომწონე ქალიშვილების თვალწინ!

ქალიშვილებისა, — რადგან ნაწვიმარზე რომ ჯეჯილი დაიძახებს და ერთიანად ამოიწვერება, სწორედ ისე დანებდნენ გუშინდელი გოგონები.

წვიმა კი მღეროდა და მღეროდა!..

ელგუჯა
პერაბიძე

მხატვარი
რეზა
ცუცქერიძე

თრიალეთის ცოცხალი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ლალად იდგა ერისთავთ-ერისთავის ასული, ალუბლისფერი ტუნიკა ეცვა, ტანზე გაწყობილი, ძვირფასი თვლებით მოწინწკლული და ოქროთი მაჯებნაქარგი...

მერე თამის მოპკრა თვალი და ციაგისკენ აღარ გაუხედავს სეითს. მარჯნისფერი კაბა ემოსა თამის, თეთრი გულისპირით გაწყობილი, სითხათუნს ედგა მხარში და თავდახრით მდგარ ბულათს გაჰყურებდა... ალბათ ის თუ ეგონა... სეითი.

ოსტატმა თავის სიცოცხლეში პირველად შეხედა შურით ერთადერთ ძმას... მის ადგილას ახლა სეითი უნდა მდგარიყო, რომ არა სიმუხთლე ბედისა...

აი დაიძრა ღალადისით გუნდი მგალობელთა. ყურთამდე გაიღო ტაძრის ჩუქურთმინი ხის კარი და აჩახახა საკურთხეველთან გარიგებული კელაპტრები...

ტაძარში ამალით შემოსულმა მეფემ მრისხანედ შეიკრა შუბლი და ზეაღმართა კვერთხიანი მარჯვენა. გალობა შეწყდა.

მეფემ გვირგვინი მოიხადა და გაცეხული მიაჩერდა ღვთისმშობლის ხატის ცარიელ კარდს. ციაგს ღონე აღარ ეცა ხილვისა, ია-ჯავარ თვალებზე მიიფარა ხელი...

ხატის მოჩარხოებული მინანქრის ბუდეში აღარ ჩანდა თვით ღვთისმშობელი...

— მკრეხელობა, მეფეო, — შეიცხადა მოძღვარმა და ჯვარი აიფარა წინ. — წყეულიმც იყოს წმინდა ეკლესიის განძთა მპარავი.

ძრწოლამ შეიპყრო ტაძრული.

— არა, მეფეო, ქართველთაგან არავინ მეგულვის ეკლესიის სახმართმტაცებელი, — წინ წამოდგა შუბნიშნის ხუცეს-მონაზონი ფილარეტი და მდაბლად დახარა თავი მეფის წინაშე.

— გვამცნე, რის თქმა გასურს, — ბრძანა მეფემ.

— ეგების ვცოდავ... მაგრამ მგონია, თავისი ღვთიერი ნებით წაბრძანებულა ამ სავანიდან მარიამ ღვთისმშობელი...

— განა რა ცოდვა ადევს აქაურ სამწყსოს, რომ მათ ზილვას განერიდა ღედაი ღვთისა? — დაეჭვდა მეფე.

— არა, მეფეო, ცოდვა სულ სხვა ვინმეს მოეკითხვის, ეშმაკს გადაუცდენია კამარათა მწერალი.

წინ წამოდგა ბულათ და მეფის სიახლოვეს მოიყარა მუხლი.


— რაკი დაიწყე, დაასრულე კიდევ, დაადე მსჯავრი, — უბრძანა მეფემ ხუცეს-მონაზონს და ჩამუხლულ ოსტატზე ანიშნა.

ფილარეტი უკუდგა და საპირისპირო მხარეს მიახედდა მეფე. მთელი სამხრეთი კედელი ეჭირა ფერით ნაწერს. თალქვეშ ფრთოსანი ანგელოზები დალივლივებდნენ, ხოლო მათ ქვემოთ მხარდამხარ იდგნენ გვირგვინოსანი დიმიტრი მეფე, უფლისწული გიორგი და სამცხის ათაბაგი ბექა. დიმიტრი მეფეს მარგალიტები ენთო ბისონის კალთებზე და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სამეფო გვირგვინი ედგა; გიორგის მკრთალი ყვითელი კაბა ეცვა, ბექას — მომწვანო. სენშემდგარი დაენახა ხატმწერელს ბექა, თვალთა ცეცხლი განელებოდა ათაბაგს და თმაწვერიც შესთხელებოდა.

— მამაკაცთ ბიწიერ მზერას განერიდა ღედა ღვთისმშობელი. შეუნდე, მეფეო, თუკი ასეთი დაუნახავს ამის მხსანხავს თქვენი ნეტარხსენებული მამა, — მიწას განერთხო ბერმონაზონი.

მეფე წინ წადგა და დიდხანს თვალშიმეტრებით უმზირა ნახატს. მერე წარწერაც შენიშნა: „ქრისტე, აღიდენ მეფეთმეფე დიმიტრი და ათაბაგი ბექა, ღლეგრძელ ჰყავ უფლისწული გიორგი“.

ყველას ანიშნა, გასულიყვნენ ტაძრიდან, ციაგს ფრთხილად მოჰკიდა ხელი და თვითონაც დაიძრა კარი-საკენ. ტაძარში დარჩა მხოლოდ დაჩოქილი ბულათ.



— თივა შეზიდეთ ტაძარში! — ბრძანა მეფემ.
სითხათუნის გვერდით მდგარმა თამიმ ხმადახშულად იკივლა და გული შეუღონდა. მეფე არ განძრეულა. წარბშეუხრელად უმზერდა, როგორ შეჰქონდათ ყმებს დაკონილი ხმელი ჩადუნა.

— გამოიყვანეთ ოსტატი! — ბრძანა ბოლოს.
— არ გამოდის, მეფეო, ტაძარს თავს ვერ დავანებებო, — მოახსენეს.

უცებ სეითი გამოვარდა გლახაკთა ბრბოდან და მეფის წინ დაეცა მუხლებზე.

— ტაძარში ოსტატი არ გახლავთ, მეფეო... მე ვარ ია-ყვაგილას კამარათა მწერალი სეით... მაშინ ამჩენეს მომხვედურთა, როცა ხმლით ვიცავდი ჩემს ნამუშავეს... ტაძარში ბულათია, ჩემი ტყუპისცალი ძმა... მან არ იცის, რომ ცოცხალი ვარ... ჰგონია, ანდერძს ასრულებს ჩემსას და იმად მოსულა ჩემი სახელით ციხეში...

გაოცდა მეფე, გამოაყვანიდა ბულათი საყდრიდან და ერთად დააყენა ძმები. ბულათი უღიმოდა, თვალებით ეაღერებოდა მკვდრეთით აღმდგარს.

— აქ ქვა მღერის... სიყვარული მღერის, მეფეო, ნუ დაღუპავ ტაძარს, — მუხლი მოიყარა ბულათმა და ჩურჩულით დაუმატა: — ჩემი ტყუპისცალი ძმის სიყვარული...

— სხვის სიყვარულს რატო აღარ გაუფრთხილდა? — კბილებში გამოსცრა მეფემ და ბიწიერად მომზირალი მამა დაუდგა თვალწინ. იქნებ არც იხედებოდა ასე, მაგრამ მამ რატომ ამბობდა ხუცეს-მონაზონი?..

წელში გასწორდა მეფე, წინ წადგა ნაბიჯი.
— ჩემის მეფური ნებით მიბრძანებია: კამარათა მწერალმა წარხოცოს კედლიდან ხატებანი კაცთა... ამას ცაციათიც შეძლებს... ხოლო თუ შეკენიობის სწორამდე არ დაბრუნდება ღვთისმშობელი, შეირისხოს ოსტატის მონაცილე.

ბულათი იმ დღესვე წავიდა იისციხიდან, ხოლო სეითს მისცეს ყველა საღებავი და ხატმწერის ფუნჯი... მოკრძალებით შეაბიჯა ცამოხატულ საყდარში და მის უკან მჭიდროდ დაიგმანა ჩუქურთმიანი მძიმე კარი. პირისპირ დარჩა თავის ნახელავთან ოსტატი, ენანებოდა მისი ხელყოფა, არ იცოდა, რით დაეწყო.

„ბულათი მიმხვდარა ყველაფერს, ალბათ გუმბათქვეშ მოლივლივე ანგელოზებში აღმოაჩინა თამი და ამით მიავგო ია-ყვაგილას ერთადერთ საიდუმლოს“, — გაიფიქრა და მალლა აიხედა.

შუა ნავის თალი ღრუბლების ფონზე მოხატულ ქერუბიმებს ეჭირათ, ხოლო მათ ქვემოთ ფრთავამლილი ანგელოზი დასცქეროდა დედამიწას ამქვეყნიური მადლით მოხიბლული თვალებით. თამის იერსახე ჰქონდა ანგელოზს. თუკი საკურთხევის მხრიდან შეხედავდა ვინმე და დაკვირვებით მოხჩრეკდა ტაძრის ცას, უთუოდ აღმოაჩენდა სეითის ვარსკვლავს... როგორც ბულათმა აღმოაჩინა...

განთიადისას თავისით შეირხა ძელი სამრეკლოზე. ალბათ ტაძარს ცუდი უგრძნო გულმა. მაცნე მოვიდა ასპარაშენიდან. გიორგი მეფეს უხმობდა ბიძა — სამცხის ახალი ათაბაგი სარგისი. მეფე უმალ გაეშურა ამალითურთ.

ღილით გვიან ჩამობრძანდა ზედა ციხის ეზოში დედუფალი სითხათუნი, მანდატური იხმო და ტაძრის გაღება უბრძანა...

შეკრთა ტაძარში შესული მანდატური, უკან დაიხია და პირჯვარი გადაისახა, მერე პატრონისა შერცხვა და ისევ წინ წარდგა ნაბიჯი...

სამხრეთის კედლიდან უკვალოდ გამქრალიყვნენ მეფე დიმიტრის, უფლისწულისა და ბექა ჯაყელის ხატე-

ბანი. არსად ოდნავი სიმღვრიეც კი არ ემჩნია კამარათა და კედელთა თეთრი არეების უბიწოებას.

თაღებქვეშ კვლავინდებურად ლივლივხდნენ ფრთოსანი ანგელოზები, კედლებიდან მშვიდად იმზირებოდნენ კეთილსახოვანი წმინდანები, ოღონდ სამხრეთის კედელი მოჩანდა უცხოდ...

სარკმელთა შუქით კარგად განათებულ არეზე, როგორც ციდან ჩამოსული, ფრთებწართმეული და მიწიერ ქალად ქცეული ანგელოზი, იდგა ცივად...

ალუბლისფერი ტუნიკა ემოსა ერისთავთ-ერისთავის ასულს, ტანზე გაწყობილი, ძვირფასი თვლებით შემკული მინაიკი ენთო გულისპირთან. კალთისპირებზე ფიგურული აშია ჰქონდა შემოვლებული სამეფო ტუნიკას და სპეკალებით იყო დაწინწკლული. ოდნავ ფერმიხდილსა და კდემამოსილს საფირონებოვით უბრწყინავდა დიდრონი ია-ჯავარი თვალები.

უფრო ქვემოთ მოჩანდა მინაწერი:
„შემინდეთ სიყვარულისათვის საღთოსა... ვინცა იყოთ ტაძარსა შინა. კვამლისაგან შეიკრძალებთ ხატული, რომელ ფერი არ დაეკლოს“.

სოფიის კენჭით მოხატულ იატაკზე ოსტატი იწვა. მძინარე ეგონათ, მაგრამ როცა ახლოს მიდგნენ, მახვილით გულგაბასრული იხილეს... და იწვა კამარათა მწერალი საწუთროზე დამდურებული კაცის იერით. ტაკვზე არტაშნით შემოკრული ბეწვა-ფუნჯი, ვითა პატრონი, უძრავად იდო და სისხლისფერი საღებავისაგან იწრიტებოდა.

მეორე დღეს ნაშუადღევს, შუბნიშნის ეკლესიაში უეცრად გარდაიცვალა ხუცეს-მონაზონი ფილარეტი.

ხოლო ენკენიობის მეორე სწორს ასპარაშენს გაემგზავრა თამი, ძაძით მოსილი და პირშებურული. იქ, იშხნის ციხის საბნელოში ათაბაგის ერთადერთი ასულის გვერდით მცირე სენაკში ჩაკეტლმა იგლოვა ერთხანს, მერე კი მძიმე ფიქრების განსაქარვებლად იწყო ვეფხის-ტყავიანი მოყმის ამბის გადაწერა ძველ გრავილიდან.

უამი ითვლიდა დღეებს, თვეებს, დოლაბეგებით მძიმედ ბრუნავდნენ წლები, ლამაზი ასოებით წერდა თამი მალალი სიყვარულის დიდ წიგნს და სინგურისფერ მელანთან ერთად თანდათანობით ილეოდა, იწრიტებოდა მისი ლამაზი სხეული, ინავლებოდა მისი ეული სული...

ძ მ რ ა ნ ი

იღბლიანი გამოდგა გიორგის გამოჩენა ურდოში. გაიხარა ნოინმა გიორგის ნახვით, მისცა სრულიად საქართველო და ყოველი მთავარი საქართველოსნი. განშორებისას მთავარ კარავში იხმო ჩობან ნოინმა გიორგი, მოსთხოვა პირი სიმტიციისა და, ნიშნად წყალობისა, მიჰგვარა ასული ნოინთა მთავრისა, სახელად სელმამხ... ყვითელ ჯუბანაში გამოწყობილი ჩაბუტული თვალებით უმზერდა გიორგის.

პირველად თავის სიცოცხლეში უკუდგა სრულიად საქართველოს მეფე. თვალწინ დაუდგა მომლოდინე ციხე, დანაპირა უარი ეთქვა ყველა წყალობაზე, მაგრამ თავი შეიკავა. ბექა პაპა წამოადგა თავს და თავისებურად დაუბუხუნა აღზრდილს, უფლება არა გაქვს ქართველთა მეფეს, პირველ სვლაზევე წაგო მონღოლებთან დაწყებული დიდი თამაშიო.

წარბი არ შეუხრია, ბექედი წაიძრო თითიდან და სელმამხს მისცა ნიშნად. დრო ითხოვა ჩობან ნოინისაგან, შემოვიმტიციებო სამეფოს და ამალით გეახლებიო სელმამხ-ხათუნის წასაყვანად.

და მოვიდა გიორგი ტვილისს, შემოიკრიბა კათალიკოზი და ეპისკოპოსნი, დიდებულნი და წარჩინებულნი. გორის ციხიდან განდევნა ოსები, მოსპო ურჩნი და და-



ამშვიდა ქართლი. მერე მოიწვია ერისთავნი კახეთისანი, გაწყვიტა შფოთის თავნი და მისცა ამირსპასალარობა სარგისს. შეკრიბა სპანი და შევიდა რანს, იქიდან შირვანს და განავრცო ძლიერება თავისი დარუბანდამდე. გარდავლო ლიხის მთა და ამის მხილველნი იმერნი სიხარულით ეგებებოდნენ. მერე შევიდა ოდიშს, იქიდან აფხაზეთს, უკუმოქცა, შემოვლო გურია და მოვიდა სამცხეს.

შეუძლოდ შეიქნა ამირსპასალარი სარგისი. მეფე იისციხეს აპირებდა წასვლას. ბიძიშვილებმა პირი შეერეს, უშლიდნენ გამგზავრებას, ამტყდარ უამინდობასა და უგზობას იმიზეზებდნენ. მეფე თავისაზე იღვა, მანინ შალვა ციხისჯვარელმა განზე გაიხმო გიორგი.

— სარგისი განაპირა კომშეში დავავანეთ... ყველას აღუკვეთეთ მასთან მისვლა, — თქვა და შემოფოთებულმა შეხედა ძმისწულს.

— პირდაპირ მითხარი, რა გაქვს გულში...
— მარბიელ თურქთა ბრბოების გამოჩენის შემდეგ ეამობა ატყდა მესხეთ-თრიალეთში... ყოვლისმომსვრელი სენი... შავი ყვავილი აქეთ მოიწივს... იისციხის მისასვლელი გზა, გალავანი და შიდა ციხის უბნები მოფენილია მკვდრებითა.

— ციაგი სად არის? — ხმა ჩაეხრინწა მეფეს.
— იქ... თავისსავე კომშეში... — ძლივს ამოთქვა შალვამ.

გიორგის გული შეეკუმშა. უძლური იყო ლომგული მეფე ამ უჩინარი მტრის წინაშე. ერთადერთი, რაც მას შეეძლო, ეს იყო ციაგის პოვნა და სასწრაფოდ წაყვანა ტფილისს. ცხენი მომგვარეთო, ბრძანა, და დარბაზიდან გავიდა...

ღია იყო მახვილგოდოლებიანი ციხის კარიბჭე. ავად ენიშნა მეფეს, ტუჩზე იკბინა. უცეცხლოდ და უმახვილოდ შეველო ციხეში უჩინარ მტერს, მკვდრებით მოეფინა წყაროსპირი და ზედა ციხის მისასვლელი. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა ბინდებულში გარინდულ კომშებს. ყურთამდე ღია იყო განთიადის მკრთალი შუქით განათებული ია-ყვავილას კარი.

— ციაგ! — გასძახა მეფემ გარინდულ გოდოლებს, ექო დაუბრუნეს შემოჯარულმა მთებმა.

რატომღაც ტაძრისაკენ გაუწია გულმა. ღია კარში შეაბიჯა და მიმოიხედა: სამხრეთის კედელმა დაატყვევა მისი მხერა...

მეფის წინ თავისი ყმაწვილქალური მომხიბლობით თავს იწონებდა ციაგი, აღუბლისფერი სადედოფლო ტუნიკა ემოსა, სპეკალებით მოწინწკლული და ოქროთი მაცებნაქარგი, მარგალიტებითა და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი მანიაკი უზბინავდა ფიქალ ყელთან... ოღონდ თავზე ჯერ არ ეხურა სადედოფლო თავი... გიორგის ელოდა, ფერმიხდილი შემოპყურებდა და ოდნავ გაღიმებულს საფირონებევით უბრწყინავდა დიდრონი ია-ჯავარი თვლები...

მის ფეხითი მუხლის მოყრა მოუნდა გიორგის, და როცა დაიხარა, რაღაცა შეუსაბამოს წააწყდა მისი მხერა...

სოფიის კენჭით მოხატული იატაკიდან ძალუმად ამოეწია მიწას, ამოენგრია ქვის იატაკი და ფხვიერ ყორღანად ქცეული იღო ციაგის ხატების წინ...

— ციაგ! — იყვირა მეფემ და გუმბათქვეშ მოლივე ანგელოზებმა ქვითინით იგივე გაიმეორეს.

ყორღანზე პირქვე დამხობილმა შავოსანმა ქალმა გაკვირვებულმა წამოსწია თავი და უაზროდ მიაჩერდა მოსულს.

ღიაცს შავი გამონაყარით ჰქონდა დაფარული სახე, ცხვირის ნესტოები დამუწუკებოდა, პირი ჩაშავებოდა. მეფემ ძლივს შეიცნო დედუფალი სითიხათუნი...

უმოდ მობრუნდა. თავჩაქინდრული ბარბაცით მივიდა კარიბჭესთან დადარაჯებულ ამალასთან, ცხენს მოკვლოდა პირგამეხებული ჭენებით მიეძალა სივრცეს...

„...და დაჯდა გიორგი მეფედ და დაიწყო მთიებმა აღმოცისკრება“, — წერდა ტფილისის მკდომი ეამთაღმწერელი.

მარატმა კითხვა დაამთავრა. მაგრამ ხმა არავის ამოუღია. ბავშვები ხმაგაკმენდილები ისხდნენ კარგა ხანს.

— დედაც ჩემო, რა დაუცველები, ბედის ანაბარად მიტოვებულები ყოფილან ადამიანები... საბრალო ციაგი, — ნესტანს ტუჩები უთრთოდა სატირლად.

— და მაინც გმირულად უბრძოლიათ, არ დანებებულან, — შეაშველა ბედუკამ.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

— ნეტა საბოლოოდ მაინც თუ უღალატა გიორგი მეფემ თავის პირველ სიყვარულს, თუ წამოიყვანა ურდოდან სელმაზ-ხათუნი, — შუქიამ ირგვლივ მიმოატარა ნალვლიანი მხერა.

— რას გაიგებ. მასწავლებელმა ხომ თქვა, ძალიან მცირე ცნობებია შემორჩენილი გიორგი ბრწყინვალის მეფობაზეო, — ამოიოხრა ბედუკამ.

— მეფე სიზვიადითა და ხმლით ყოფილა მაგარი, სეითი კი ფუნჯით, — თქვა თორნიკემ და ჭორფლიანი სახე წამოუწითლდა.

— ფუნჯითა და მეტისმეტად კეთილი გულით... რამხელა ძეგლი დაუდგა სიყვარულს... ახლა მეტს არაფერს ვინატრებდი, ამსვა და ჩქერულას ხეობაში ვაღამსვა! — რუსიკოს მეოცნებე თვალები ჰქონდა.

— მერედა რას ნახავ? ნამზღვლევეში ალბათ მხოლოდ კედლის ნაწილი მოჩანს, — შეედაგნენ აქეთ-იქიდან.

— მის შიგნით კი, თუ ეს ამბავი მართალია, ციაგის საფლავი იქნება, — არ დაუთმო რუსიკომ.

— ციაგი სენმა იმსხვერპლა, სეითი კი გაუგებრობამ. — თქვა ნესტანმა.

— გაუგებრობამ კი არა, იმ ხუცესის ღვარძლმა, — შეუსწორა ავთომ.

— თავდაპირველად არ უნდა წასულიყო იისციხიდან, თამი აპატიებდა სიმახინჯეს, — დანანებით ჩაილაპარაკა შუქიამ.

— აქედან იოლია განსჯა, — საუბარში ჩაერია ბედუკა, ხელნაწერი კარადაში გამოკეტა და ჩანთას წამოავლო ხელი, — ხასიათის ხალხი ყოფილან ჩვენი წინაპრები.

დუმილი ჩამოვარდა.

გარეთ ისევ წვიმდა. ნელი, თანაბარი ყინულოთ იყო გაჯერებული ჰაერი. ვოგონებმა ჩანთები წამოკრიფეს და ქოლგები დაითითოეს.

დერეფანი ისე გაიარეს, ხმა არავის ამოუღია. პარმალზე შედგნენ და, ვიდრე კიბეზე დაეშვებოდნენ, ერთხელ კიდევ გახედეს ნაწვიმარ ველებს. მწვანე ჯეჯილი ბიბინებდა ცის დასალიერამდე.

ვახტანგ მასწავლებელი მეორე დღესაც არ გამოჩენილა სკოლაში. არც მინ იცოდნენ რამე. რუსიკო შემოფოთებულ ჩანდა.

გაკვეთილების შემდეგ დირექტორმა თავისთან დაიბარა ექსპედიციის მონაწილენი.

— ეს-ესაა ტელეფონით მელაპარაკა ვახტანგ მასწავლებელი. კლდის ამფეთქებელთა ვინაობა ჯერჯერობით ვერ დაუდგენიათ, ის კი მოუხერხებიათ მას და გობრონს, რომ დაეჩქარებინათ შუბნიშანის აღდგენითი სამუშაოები. ბოდიშს გიხდით მასწავლებელი, სამშენებლო მასა-



ლებზე დავრბოდი და ვერ მოვახერხე, დამერეკაო. გთხოვთ, განაგრძოთ საქმის განხილვა დასახული პროგრამით. კარგს იზამენ, თუ მეცამეტე საუკუნის არქიტექტურასაც გადახედავენო. სარესტავრაციო ჯგუფი მომყავს და ხვალ დილით, თუ მზად იქნებიან, რამენაირად დავუკავშირდებითო. გაიგეთ?.. გაკვეთილზე იყავით, თორემ უშუალოდ მასთან გალაპარაკებდით.

ყველანი სათითაოდ გაიკრიფნენ კაბინეტიდან, მხოლოდ რუსიკომ აითრია ფეხი, იქნება დირექტორისაგან მამის შესახებ კიდევ რამე შევიტყო.

— გაინძერი, ბიჭო, უკვე მოდღევედა, გავლა უნდა იმხელა გზას, — აჩქარებდა ბედუჯა მარატს.

— დამაცადე, აქ სადღაც ნისკარტა ძალაყინი მქონდა, — მარატს ზურგჩანთა წამოიკიდა და ფეხის ცერებზე შემდგარი სათონის სხვეწე აფათურებდა ხელებს. — უჰ, ბიჭო, რა ამინდია. რომ იცოდე, ქვებზე იბლიანი ნადირობა ყველაზე უფრო ნაწვიმარზეა მოსალოდნელი, როცა ნიაღვარი ზედა ფენებს რეცხავს...

— ამ უზმოზე ლექციას მიკითხავ? — ბედუჯა გზაზე გავიდა და კიდევ ერთხელ მოხედა ზოზონა მეგობარს.

— რა ხალხია, აზრის დამთავრებას არ აცლიან კაცს, — ბუნღუნებდა მარატი და გზადაგზა ტენიდა ჩანთას.

— შორს, სკოლის მესერთან კიდევ იდგნენ სამინ. ბიჭებმა ნაბიჯს აუჩქარეს.

— რუსიკო არ მოსულა? — იკითხა შუქიამ და ზურგჩანთა მოიხსნა.

— თამრიკო, ოთარი და მერაბი არ მოვლენ. „ორები“ მიიღეს და გამოეთიშნენ თანისათვის ბრძოლას, — იღრიჭებოდა ავთო, — რეზო საავადმყოფოშია.

— თორნიკეს რაღა დაემართა, — ნესტანი ჭინჭით იკრავდა მსხვილ ნაწნავს და ამხანაგებს შეხაროდა.

— თორნიკეს ამბავს მე გეტყვით, — რატიმ მსხვილი ტუჩები დაიპროშა. — გუშინ ნალბანდი სიკლა შემომეყარა ორღობეში, მეკითხება, რა ქენით ძალოს ფეხის მომჭმელებო, იპოვეთ ამფეთქებელიო? ამფეთქებელს ვინ ჩივის, შენ რომ დაუჭედავი ეშმაკი დაგრჩენია, ის გვიჭირებს საქმეს, ბეკურა პაპას ასდევნებია და მოსვენებას არ აძლევს-მეთქი. ჰაი, გავავერანებ იმასა, ახლა კი ბლომდა მაქვს რუსული ყაირები, ავიდე იქაო! — დაემუქრა. მე ხუმრობა მეგონა, მაგრამ ამ დილით გავიგე, რომ გუშინვე წასულა და თორნიკეც თან წაუყვანია.

— ხელავ შენ, წინიდან გვიყელა მხატვარმა! — გაუკვირდა მარატს.

— მე უფრო სხვა რამ მაფიქრებს, — რატიმ მაცდურად შეხედა მეგობრებს, — ვაითუ ბნელში შეეშალოს სიკლას, უკან ადევნებული თორნიკე ეშმაკი ეგონოს და ერთი გემოზე დანალოს რუსული ყაირითა... ჰა, როგორი საქმეა, — ხვიხვინებდა და ცხენივით კბილებს ჰყრიდა.

ქვემოთ, სოფლის თემშარაზე სატვირთო მანქანა გამოჩნდა, სკოლის მოსახვევთან გაჩერდა და კაბინიდან გადმოსულმა კაცმა ხელების ქნევა დაიწყო. მერე ვიღაც გოგო გამოიქცა აღმა.

— რუსიკოა, — თქვა ნესტანმა და წინ წადგა.

ყველამ მიაყურადა.

— წამოდით!.. მანქანა თქვენ გელოდებათ!.. — როგორც იქნა გაარჩიეს სიტყვები. მართლა რუსიკო იყო.

მანქანასთან მდგარმა ფოლადისკბილებიანმა შავტუხა კაცმა გულღიად შესცინა ბავშვებს და, აღითო, ძარაზე ანიშნა.

— ვახტანგ ბეთლემიძის ბრძანებაა, ჩაგსხათ მანქანაში და უვნებლად აგიყვანოთ შუბნიშანთან.

— ვინ არიან? — ჩუმად ჰკითხა ბედუჯამ რუსიკოს.

— ცემენტი მიაქვთ შუბნიშანის ეკლესიაში.

ბიჭებმა ჯერ ბარგი აიტანეს ძარაზე, მერე ნებს მიეხმარნენ, გარდიგარდმო სკამებზე დაფიცებულნი და ცას შეხედეს, ხომ არ იწვიმებსო. აღმოსავლეთით აფერადებულ ღრუბლებში მზე აპირებდა ამოსვლას.

მანქანა მალე ციკაბო აღმართებს შეეკიდა, მოტორის დაძაბულ ღმუილში ყურთასმენა აღარ იყო.

გოგონებმა სიმღერა წამოიწყეს და ერთხელაც არ გადაუხედათ უფსკრულებში, ისე გადაიარეს კლდეების თავზე გადაკიდული გზა.

მანქანა ნელა ეშვებოდა ჩქერულას ხეობაში, ოხშივარი ასდიოდა ნისლგადახდილ მდინარეს.

— ხედავთ, დაწმინდავებულა ჩქერულა. აქეთ, ეტყობა, წუხელვე გადაიღო წვიმამ, — მარატს სათვალე მოეხსნა და აღტაცებით გაჰყურებდა ვრცელ რიყეზე ვერცხლის ძაფებად გაფანტულ წყალს...

გამოჩნდა პირველი დაბრკოლება — აქაფებული წყლით ჩამოკბილული კაპანი.

— რუსი, აგერ იმ კლდეზეა ანგელოზის ნაფეხური. თუ დააკვირდები, აქედანაც შეამჩნევ, შავად არის ვარუჯული სანთლის ნამწვებით, — ბედუჯამ მდინარისპირა პიტალოსაკენ გაიშვირა ხელი.

მანქანამ კაპანები აიარა, მერე მარჯვნივ შეუხვია, ქვიშიანი აღმართი აათავა და შუბნიშანის გალავანში შეგორდა. იქ უკვე მოჩანდნენ ნანგრევთან მოფუსფუსე მშენებლები. ბავშვებმა ბარგი ჩამოიღეს და მერე მუშებს მიეხმარნენ ცემენტის გადმოტვირთვაში. რუსიკო წინ წამომდგარი მამისაკენ გაექანა, მიიბრინა კი, მაგრამ ამხანაგებისა შერცხვა და მოხვევდა ველარ გაუბედა. ისევ ვახტანგი მიეალერსა, ხელი მოხვია და მანქანისაკენ წამოიყვანა.

ვახტანგმა სათითაოდ ჩამოუარა ბავშვებს, ხელი ჩამოართვა და მოიკითხა.

მშენებლებმა გამოსძახეს.

— ცოტახანს მადროვეთ, ბეკურა პაპასთან დამიცადეთ და ახლავე მოვალ, — თვალებით მიეალერსა ბავშვებს და გაბრუნდა.

ბედუჯას ძალიან უნდოდა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ უნებართვოდ ვერ გაბედა. მშენებლებს ხევში ჩაცხენილი ქვები ამოეზიდათ და ახლა დაფშალულ კედელს შლიდნენ, გარეპერანგის თლილ კვადრებს ცარციით ნომრავდნენ და ფაქიზად აწყობდნენ ცალკე.

— ჰეი, ბალებო, ხასიათი არ წაუხდინოთ ბერბიჭასა, აქეთ გამოდით, — გამოსძახა საყდრისკენ წასულ გოგონებს ბეკურა პაპამ.

ბავშვებმა ახალა დაინახეს კართან მწოლი ნაგაზი და უკან დაიხიეს. ბედუჯამ გვერდით მდგარ რუსიკოს ჩასჭიდა ხელი და ბეკურა პაპასკენ წაიყვანა.

— იმ ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ რატომღაც მჯერა, რომ ყველაფერი მართლა შეიძლება მომხდარიყო.

— ბეკურა პაპა მიუკვლეველი საგანძურისაგან ნიაღვრით ჩამოტანილ მონეტებს პოულობს და მერე იმ მონეტებს ეშმაკი ართმევსო, ეგეც? — რუსიკომ გამომცდელად შეხედა.

ამაზე ბიჭს აღარაფერი უთქვამს ისრისებური თაღით გადახურული სამსხვერპლოსკენ იყურებოდა. იქ, მინავლულ შუაეცხლის გვერდით, ბეკურა პაპა იჯდა და ქალამნის ამოსხმით იყო გართული.

— გამარჯობა, ბეკურა პაპა, — მიესალმა რუსიკო.

მერე სხვა ბავშვებიც მოვიდნენ, მიესალმნენ და გარს შემოეხვივნენ.

ბეკურა პაპამ თავი ასწია, სათითაოდ შეათვალა მოსულნი და ნახევრად ამოსხმული ქალამანი ხელში შეატრიალა.

— მოხვედით, ძალაპოიებო?... კარგია, რომ მომაკითხეთ, მაგრამა, ვიცი, მე თქვენთან ლაპარაკი ხერს არ დამაყრის... ერთი პრაპისორი იყო ამას წინათა... რასაც ვეუბნები, ყველაფერს იწერამს, სუ არ დაგიდევს, ტყუილია თუ მართალი... თქვენ კიდევამიტყუდებით ხომე, ეს საიდანაო, ეს როგორაო... იმას აღარა კითხულობთ, მათკიდევა თქვენი გული?..

— მამამ თავკვერის ღვინო გამომატანა მოწული ღოჭით, თუ ბეკურა პაპა სისხლნაკლებობას უჩივის, პურის ჭამაზე თითო ჭიქა დალიოს ხოლმე, შეერგებაო, — წინ წადგა რატი.

— სადა გაქვს? — უნდოდ იკითხა ბეკურა პაპამ და გადატრუსული წამწამები დაათახულა.

— ზურგხანთაში. მთელ გზაზე ძირს არ დამიდგამს, არ გამიტყდეს-მეთქი, — რატი მიბრუნდა, ჩანთიდან ამოიღო და ქალღი შემოაცალა მოწულ ღოჭს.

გოგონებიც თავიანთ ხელბარგთან დატრიალდნენ, ჩანთებიდან სანოვავე ამოალაგეს და მცირე ძღვენით ხელდამშვენებულები წინ დაუდგნენ მოხუცს.

ბეკურა პაპას თვალები მოუწყლიანდა.

— გმადლობთ, შვილებო, დაიხარდენით, ჩემი ხნისა მოგყაროთ ღმერთმა.

— არაყი კი ვერ წამოგიღეთ, აწყენსო, — მოუბოდიშა ავთომ.

— მაგაზე ნუ იღარდებთ, არაყს ეშმაკი მიზიდავს, — ვითომც აქ არაფერიო, მშვიდად უპასუხა ბეკურა პაპამ. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ბეკურა პაპა, ნაწვიმარზე განძის საძებრად ხომ არ იყავი? — როგორც იქნა გაბედა ბედუკამ.

— ვიყავი და აღბათ იქიდან ამიდგა წყეული...

— ფული მოგთხოვა? — ყველას დაასწრო რატიმ.

— ფულიც და სულიც, — ბეკურა პაპა შეშინებული ჩანდა.

— გქონდა რამე წამოღებული? — რატის ხმა გაეზზარა მღელვარებისაგან.

მოხუცმა გუგებამოხუნებული თვალები დაახამხამა, განზე გაიხედა და მერეღა თქვა:

— მქონდა.

ბავშვები გაოგნებულები შეჰყურებდნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

— თუ არა გჯერათ, აგერ ტაძარში თქვენი ამხანაგია, მიდით და იმასა ჰკითხეთ. — ბეკურამ ძალს გასძახა და



თავისთან ოხმო, რაკი დაინახა, რომ გოგონები მაშინვე საყდრისაკენ გაიქცნენ.

რუსიკო პირველი მიიჭრა ტაძრის ღია კართან, შეიხედა და გაკვირვებულმა გამოსძახა ამხანაგებს:

— ბავშვებო, თორნიკე!

თორნიკე მოღებრტთან ჩამუხლულიყო და გამალებით ხატავდა. ხმაურზე ერთი კი მოიხედა და კვლავ მუშაობა განაგრძო.

— თორნიკე, აქ საიდან გაჩნდი? — თავს დაადგა შუქია.

თორნიკემ, როგორც იქნა, ასწია თავი, ამხანაგებს შეხედა და ფიქრებიდან გამოერკვა.

— გვაჩვენე, რა, სხვა ნახატებიც, — თავს წამოადგინა გოგონები.

თორნიკემ მუშაობა შეწყვიტა და რამდენიმე წიბო აჩვენა ამხანაგებს.

— სახლში უნდა დავასრულო.

შუქია სახატავ ალბომს ათვალიერებდა, ნელა ფურცლავდა გრძელმოსასხამიანი წმინდანებით გადახატულ გვერდებს და ბოლო ფურცლის უკანა მხარეს თანამედროვე ადამიანის პორტრეტს მოჰკრა თვალი. ხელში გაუჩერდა ფურცელი.

— ეს ვილაა?! — იკითხა გაკვირვებულმა.

ბავშვებმა კისრები წაიგრძელეს.



— გუშინ ამოვედი... ცხენით. სიკლას გამოვეყვი, — თქვა და დაღლილი თითები მოიფშვნიტა.

— წუხელ სად გეძინა? — ჰკითხა რატიმ.

— ზემოთ რომ ძველი წისქვილია, ეგ არის ბეკურა პაპას სასტუმრო. დოლაბი არ მუშაობს, ღარზე ცოტა წყალი დის და, როგორც ჩანჩქერის თავზე გეძინოს, თავს ისე გრძნობ.

— არაფერი მოგლანდებია? — რატის ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

— რა უნდა მომლანდებოდა?

— რა ვიცი. ბეკურა პაპა ამბობს, მთელ ღამეს ეშმაკი დაეხეტებოდაო ხეობაში.

თორნიკემ მხრები აიჩეჩა და კვლავ ნახატს მიუბრუნდა.

— წმინდანთა ფიგურები ჩაიხატე, ტანსაცმელს მოვრჩი და ახლა ფონი მინდა გადმოვიტანო, — უთხრა გვერდით მდგარ შუქიას.

გოგონები ბედუკას ვაჰყვნენ ფრესკების დასათვალიერებლად, ავთო და რატი დანგრეულ კედელთან მოფუსფუსე მშენებლებს ადევნებდნენ თვალს, მხოლოდ მარატი დარჩა თორნიკესთან.

— რომ გავიგე, ჩრდილო კედელი ჩამონგრეულა და ფრესკები ღრის შუქზე მოჩანანო, გული აღარ დამიდგა შინ, — ეუბნებოდა თორნიკე და თან ხატავდა.

თორნიკეს ერთგან ბეკურა პაპაც ჩაეხატა, მაგრამ ეს სულ სხვა ვილაც იყო...

ყვრიმალებიანი კუმტი სახე, ნესტოებდაბერილი ცხვირითა და მსხვილი ტუჩებით, ცალი თვალით ავად მომზირალი უნებლიე შიშს იწვევდა მნახველში. ლაწვებზე მსხვილი ხალები აჩნდა, ალბათ ტუშით თუ ჰქონდა ამოსვირინებულნი...

— ვაჰ, ბიჭო, ეს აქ ვინ მოიყვანა! — აღმოხდა ავთოს, იდაყვებით გასწი-გამოსწია ამხანაგები, ჯერ ნახატს დახედა, მერე თორნიკეს შეუბღვირა და უკანვე გაარღვია ამხანაგების წრე, — ის არის... ის... ბას-მა-ჩა, — დაიჩურჩულა თავისთვის და მდინარისაკენ წავიდა თავჩაღუნული.

— სად ნახე? — რატიმ ნახატზე ანიშნა თორნიკეს.

— დილაბნელზე წისქვილიდან რომ გამოვედი, მაშინ დავინახე. ეგ და ბეკურა სამსხვერპლოსთან ცეცხლისპირას ისხდნენ და არაყს სვამდნენ. მერე ამ კაცმა ცარიელი ბოთლები აიღო და მდინარისაკენ წამოვიდა...

— იმანაც დავინახა? — ნესტანს საგულეში აღარ ეტეოდა გული.

— არ ვიცი. ბეკურა პაპას ვკითხე, ვინ იყო-მეთქი ეგ კაცი. კაცი კი არა, უხსენებელიაო, ჩაიბურტყუნა და გამეცალა.



— იქნება მშენებელთაგან იყო ვინმე? — იკითხა მარატმა.

— არა. მშენებლები გვიან ამოვიდნენ.

— მაშინ ნაღდად ის ყოფილა... დაუჭედავი ეშმაკი, — გაიცინა რატიმ.

თორნიკესაც გადაედო ამხანაგების შეშფოთება, დაფიქრებული იდგა, დამეულ ამბებს იხსენებდა და თითქოს რაღაცას ხედებოდა.

— იარლიყიანი ცარიელი ბოთლი წედან ტყემლის ბუჩქთან გამოიჩა მორევმა, ნუთუ ეშმაკები მაღაზიაში ნაყიდ არაყს სვამენ? — თქვა დაქვევით.

ბედუქამ ავთოს დაუწყო ძებნა თვალებით, რომ ვერსად ნახა, მაშინვე ტაძრიდან გავიდა.

„რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?.. უცხო ადამიანი ღამობობით მოდის ბეკურა პაპასთან, არაყს ასმევს და მერე განძს დაპატრონებულ ეშმაკად ასაღებს თავს“, — ფიქრობდა ბედუქა და გამალებით დაეძებდა ავთოს.

ასწლოვან ცაცხვის ხესთან კვამლის პატარა ფარტენი გამოკრთა და წამსვე მიინავლა. ბედუქამ ხესთან მიიბრინა და ავთოს შეეჩეხა. დაბლა მოტრიალე მორევს გადაპყურებდა და სიგარეტს ეწეოდა.

— რატომ ეწევი? რაზმის შეკრებაზე ხომ მოგვეცი სიტყვა... — ბედუქამ საყვედურით შეხედა.

— ველარ შევძელი... ახლა მაინც ველარ შევძელი... მეტს აღარ მოვწევ.

ავთო აღელვებული, თან დაბნეული ჩანდა.

— ვინ არის ბასმაჩა? — ბედუქამ ჯიქურ შეხედა.

— არ ვიცი, — ავთომ განზე გაიხედა.

— ვითომ აი ამ ხისთვის გითქვამს, ვითომ ჩემთვის, — ბედუქამ ახლოს მიიწია და თვალი თვალში გაუყარა, — მითხარი.

რუსიკომ მოიბრინა მათთან, მამა გეძახითო, უთხრა აქაქანებულმა და სახელოში ჩაავლო ხელი ბედუქას. ბედუქა არ იძროდა ადგილიდან, ავთოსგან პასუხს ელოდა.

— გეტყვი... ოღონდ ახლა არა... მაცალე, — როგორც იქნა ამოღერა ავთომ და პირველი წავიდა იქით, სადაც ბავშვები იკრიბებოდნენ.

ვახტანგ მასწავლებელი რატის გვერდით იდგა, ეტყობოდა, მის მიერ მიცემულ შეკითხვაზე პასუხობდა:

— ბექა ჯაყელის მამამ თავისი საგამგეო საქართველოსგან გამოაყოფინა მონღოლებს, ის უშუალოდ ყუენის საკუთარ ქონებათა სამმართველოს ემორჩილებოდა და იწოდებოდა ხასინჯულ. ახლა რა უნდა ვითხრათ, მე აქ მეტს აღარ დაგაყოფენებ, ბეკურა პაპა წაიყოლეთ და წადით ია-ყუავილას სანახავად. ოღონდ ახლოს ნუ მიხვალთ, შორიდანაც შენიშნავთ მის ღირსებებს. იგი დეკორაციული სისრულით იკორთის, წულრულაშენისა და ბეთანიის ტრადიციებს აგრძელებს... და მერე როგორია ეს გაგრძელება, არ იკითხავთ? — ვახტანგმა სიტყვა აღარ დაასრულა, — მიდით, მიდით და ახლავე ამოგხედავთ, — დააიმედა ბავშვები და მშენებლებისაკენ წავიდა.

ბეკურა პაპას ნაბადი დასცურებოდა მხრიდან, ქუდი ჩამოეფხატა და ფილაქანზე მჭდარი თვალმოჭუტვით გაპყურებდა ღრუბლებში გამოძკრთალ მზეს, ჯოხს დაეყრდნო, წამოიწია და გამეშებულ თეძოზე შეივლო ხელი.

— წავიყვანთ, თუ ჩემ დაუკითხავად არ დაიწყებთ აქეთ-იქით წანწალას, — უთხრა ბიჭებს და ძაღლს გასძახა: — ბერბიჭა, ჰაუ, ბერბიჭა!

თრიმლას ხეობაში უკვე შემოედგნა მზეს. ხიდს რომ გასცდნენ, ბეკურამ ნიაღვრებისაგან ჩამოხრამულ გზას

უგანა და ტყიანში გაჭრილი ბილიკით ველზე გაიყვანა ბავშვები.

ზემოთ, ფრიალო კლდეზე გადმომდგარი ნანგრევი ციხე. ბავშვები მხარდამხარ მისდგნენ. კურა პაპას. ველიანი ირიბად გადაჭრეს და აღმა წასულებმა ახლა ფრიალოს მხრიდან შეხედეს ზედაციხის ლიბოღარდვეულ კოშკს. იმ ადგილას კი, საიდანაც კლდე მიიბრუნებოდა, ფლატის მუქ გრუნტზე გადახატული მოჩანდა მიმჭრალი იისფერი ტაძარი.

— ამ ქვეყნად საზღვარი არ ჰქონია არაფერს... ვინ იფიქრებდა, თუ ამ ჟანგისფერ მთებს ასე შეეძლოთ ამოცისკრება, — კვნესასავით აღმოხდა შუქიას.

მარატმა ხევში დააპირა ჩასვლა. ბეკურამ უყვირა, არ გაბედო, თორემ ძაღლს მოგივსო.

— ნანგრევიდან ქვის სინჯს ავიღებ და ახლავე დავბრუნდები, — შეეხვეწა მარატი.

ბეკურას აღარაფერი უთქვამს. მარატი ბუჩქებს ებლოჭილებოდა და ისე ეშვებოდა ხევში, სანამ ნანგრევს არ წაადგა. ნანგრევიდან და ჩამოშლილი ქანის გროვიდან თითო-ოროლა ნატეხი წამოკრიფა და როგორც იქნა მალა ამობობდა.

— აი ეს ნამდვილად ტაძრის კედლიდან ჩამოვარდნილი ნახეხი ფილის ნატეხია, აბა ფერზე დახედეთ, ხომ ედრება? ალბათ ეს იყო პორფირის ქვა; ეს ნატეხები კი ქანისა ავიღე...

ამსობაში ვახტანგი გამოჩნდა. მგლური ნაბიჯით მოდიოდა. ყველამ მისკენ ქნა პირი. პირველი მარატი მიეგება თავისი ნადავლით. მასწავლებელმა ხელისგულზე გაშალა ნატეხები და გულდაგულ დაუწყო სინჯვა.

— აი ეს არის სპონდო, — უთხრა ბიჭებს და ნატეხი გაუწოდა, — ახლა კირქვის ტუფს ეძახის. ტუფი, როგორც ამბობენ, გულცივი რჩება ამინდისა და დროის ცვალებადობისადმი. ეს ნახეხი ფილა კი იისფერი მაგმური ტუფია, ესეც გულგრილია დროისა და სივრცის ცვალებადობისადმი, ძველად მას პორფირიტს უწოდებდნენ...

ბავშვებმა გაიხარეს. მასწავლებელთან სულ სხვა შინაარსი ეძლეოდა ნახულს — ყოველ ქვას, ყოველ კენჭს თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე ვახტანგ ბეთლემიძე. ყოველი ისტორიული ძეგლის ბედი თუ უბედობა თავისი ხუთი თითივით იცოდა. ახლაც წინ უძღვოდა აღსაზრდელებს და თანდათან შეჰყავდა ისინი გარდასულ დღეთა სამყაროში.

— ისევე, როგორც ყოველ საერისთავოში იყო შემოღებული, ჩქერულას ხეობაშიც ასე ყოფილა, შოშიტას რეზიდენცია აქ ჰქონია — თეთრი ჭალა, ქვემოთ არყნართან მიმოფანტული ნანგრევები რომ მოჩანს, მთავარი ციხე, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, და სამარხი ეკლესია შუბნიშანი... ხოლო ია-ყუავილას მშენებლობა თრიმლას საერისთავოს გაზრდილი მნიშვნელობითაა ნაკარნახევი... ის ხომ საუფლისწულო უნდა ყოფილიყო. — ვახტანგი ციხის კედელთან შედგა, თვალი გააყოლა ციცაბო ფერდობზე დაგორებულ კენჭს, დაბლა თეთრად გადაპენტლი ნანგრევისაკენ რომ მიიკვლევდა გზას, მერე ისევ მობრუნდა ციხისაკენ და ორიოდ ნაბიჯით წინ წამდგარი რაღაც უცნაურს, დაუჯერებელს წააწყდა... სცადა, უკან გაებრუნებინა ბავშვები, მაგრამ ველარ მოასწრო. წინ გამოსულმა ბიჭებმა ჯერ ციხისძირა კლდის ქიმზე მიგდებული საწვიმარი დინანხეს, მერე კი — რცხილის ბუჩქთან მწოლარე კაცი.

— ახლოს არავინ მიეკაროს, დაიწით უკან! — იყვირა ვახტანგმა.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ი ქ ა ძ ე
ქ ე ს კ ზ ც ვ ნ ე ე ზ ი

მესაზღვრეები
დგანან საზღვართან,
დგანან დღისით თუ ღამით;
კაცური სულით,
მართალი გულით,
მუდამ ფხიზელი თვალით.
რომ არ ჩაგვიქრეს
მზის ბრწყინვალეობა,
ნათელი შუქი მთვარის —
მესაზღვრეები დგანან



საზღვართან,
დგანან დღისით თუ ღამით.
ჩვენც უნდა ვიყოთ
ფხიზლად ყოველთვის —
არ გავახაროთ მტერი;
მამაცებისგან ყველა მესაზღვრე
დახმარების ხელს ელის.
მესაზღვრეები დგანან
საზღვართან,
ჩვენი მშვიდობის მცველნი.

ღ მ ღ მ ქ მ ქ ი ა შ ვ ი ლ ი

ზ კ ქ თ ი ე ნ ი



თებერვლის ქარი თამაშობს,
როგორც
უნდა და სუსხი სხეულში
ატანს,
ეზოში ცელქობს პატარა
გოგო
და თოვლზე ათას ფიგურას
ხატავს.

მე მეკარგება შეგრძნება
ყინვის
და თითქოს ვთბები,
მგონია ასე...
ეზოში ცელქობს პატარა
ბიჭი
და მთელ სამყაროს
სითბოთი ავსებს.




— მკვდარია? — შეკრთა წინ მღვარი ბედუკა.
გოგონებმა ვიწვევი და ჩურჩული ატეხეს. ვახტანგი მოუბრუნდა, მზრუნველად მოხვია ხელი ბავშვებს და ქვემოთ წამოიყვანა. ბეკურას დამიძახეო, რატის გასძახა და შუბლშეკრული შედგა.
ბერიკაცმა ქაქანით ამოათავა აღმართი და გვერდი-გვერდ მიჰყვა ვახტანგს. პირქვე მწოლარე თმააწეწილი კაცის დანახვაზე უკან დაიწია და პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო, შეგცოდნეო, ჩაიბურტყუნა. ვახტანგი გაკვირვებული უყურებდა.
— ის არის, — თქვა ბეკურამ მცირე ფიქრის შემდეგ.
— ვინ ის? — შეეკითხა ვახტანგი.
— როგორა ვთქვა... მარტო ტანისამოსზე ვცნობ, რომა ის არი... მე რო ეშმაკი მყავდა ადლოლილი... ხედავ შენა, კაცო, სად ამოსულა? მოუგნია და ეგ არი... აი, ემაგ გადაფერდებულისა ჩამოდენილ ნანიაღვრალზე ვიპოვე ის ფულები... წარმეული ფულები აღარ იკმარა, ამიხირდა ამ ერთი კვირის წინა, გინდა თუ არა, იმ ნიაღვრის სათავე უნდა მასწავლო, რომელსაც რომა ფულები ჩამოაქვსო... აი სწორედ მაშინ მივხვდი, რომა ეშმაკი არ უნდა ყოფილიყო...
— ასწავლე? — შეეკითხა ვახტანგი.
— ალბათ სიმთვრალეში ვასწავლე... დამალეინებდა

და მაროშინებდა, რაც უნდოდა... გამოვფხიზლდებოდი და მემუქრებოდა, თუ ვინმესთან კრინტი დაგიძრავს, სულს გაგაფრთხობინებო... ეჰ, არაყმა მიყო ყველაფერი, თორემ შესაშინებელი რა მჭირდა, — ბეკურა პაპა დარცხვენილი ჩანდა.
— განძი უძებნია... ნეტა ვინ უნდა იყოს? — თქვა ვახტანგმა და ერთხელ კიდევ მიიხედა მკვდრისაკენ, — ან რას უნდა მოეკლა ასე უცაბედად?..
— მეხს დაატეხამდა ღმერთი, ვენაცვალე იმის მადლსა და სახელსა. ერთხელაც მომხდარა უწინდელ დროში ეგეთი რამეი... წამოსულა უამრავი მოთარეშე ვარძიის მოსარბევათა, მაგრამ მათი უფროსისთვისა მენი დაუტეხია ღვთისმშობელსა, დანარჩენებისთვისა კიდევ სუ უკდით ქვა უსროლინებია ჭეჭითა და ქუხილითა.
— მართალია. მონღოლების დროს მომხდარა ეგ ამბავი, — კვერი დაუკრა ვახტანგმა, — ნავროზ ნონის თავის ნათესავისთვის გამოუყოლებია ლაშქარი ეკლესიების მოსარბევად და სწორედ იმ ნათესავს დასცემია მენი ვარძიის მისადგომებთან... აქ ღმერთი არაფერ შუაშია.
— როგორ თუ არაფერი, კაცო, მაშ რაღა წინამძღოლი ამოარჩია? — თეთრი წარბები შეჰყარა ბეკურამ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

მაშლილ ადგილიდან დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩვენს ირგვლივ დედამიწა წრის ფორმისაა და თითქოს შემოსაზღვრულია ცით. ბავშვებს აინტერესებთ ხოლმე დედამიწის ნაპირამდე, ანუ ცამდე მისვლა. მაგრამ ისინი პრაქტიკულად მალე რწმუნდებიან, რომ ეს შეუძლებელია! როცა ცისა და დედამიწის ხილულ საზღვრისაკენ გავემგზავრებით, მაშინ იგი თანდათანობით და ზოგჯერ კი ნახტომისებურად გადაინაცვლებს უფრო შორს. ამასთანავე, უკან მოგვეყვება ხილული ჰორიზონტის მოპირდაპირე მხარე. თუ რომელიმე მიმართულებით გავყვებით ჰორიზონტის საზღვრის გადაინაცვლებას, რაღაც მანძილის გავლის შემდეგ, ჩვენთვის ხილული დედამიწის ზედაპირი, ანუ ჰორიზონტი მთლიანად გამოიცვლება.


ჰორიზონტი ეწოდება დედამიწის ზედაპირის იმ ნაწილს, რასაც ხედავს დამკვირვებელი. გაშლილ ადგილზე მახლობლად მდგომ ადამიანებს ერთი საერთო ჰორიზონტი აქვთ, მაგრამ შორ მანძილზე მყოფთა ჰორიზონტები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, თბილისში მყოფთა ჰორიზონტი, რომელიც მოიცავს თბილისის მიდამოებს, განსხვავდება გორში მყოფთა ჰორიზონტისაგან.



ნახ. 1

ასევე ხაშურის, ქუთაისის, სოხუმის, მოსკოვის და სხვა ქალაქების მახლობლად ჰორიზონტები განსხვავებულია ერთმანეთისაგან.


ძველად, რამდენიმე საუკუნის წინ, ეგონათ, რომ ჩვენზე გამავალ ჰორიზონტულ სიბრტყის გაგრძელებაზე განლაგებული შორეული ადგილებიცაა და მისი ჰორიზონტებიც. მაგრამ კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ შორეული ადგილები, რამდენიმე ასეული კილომეტრის იქით არსებული



ქალაქები და სოფლები, იმყოფებიან ჩვენზე გამავალი ჰორიზონტული სიბრტყის ქვევით. ეს გამოწვეულია იმით, რომ დედამიწა ბურთივით მრგვალი სხეულია, რომლის ზედაპირზე ვიმყოფებით ჩვენ და ყველა სხვა ცოცხალი არსება. ეს ფაქტი აღმოჩენილია და დასაბუთებულია დედამიწის ირგვლივ მრავალჯერ მოგზაურობის შედეგად.

სათვის საჭირო იქნება დაახლოებით 1500 ან 1600 კმ/სთ სიჩქარით ფრენა. უფრო ნაკლები სიჩქარით ფრენისას მზე მოგვასწრებს ჩასვლას; ხოლო უფრო მეტი სიჩქარისას მზის ჩასვლას ახალ ჰორიზონტზე ნახევარ საათზე მეტი დრო დასჭირდება. თუ ისე ვიფრენთ, რომ მზე მუდამ ერთნაირ სიმაღლეზე იქნება ჰორიზონტის მახლობლად, მაშინ გადავივლით საქართველოს ტერიტორიას, შავ ზღვას, სმელთაშუა ზღვას, ესპანეთს, ატლანტის ოკეანეს, ამერიკას, წყნარ ოკეანეს, იაპონიას, ჩინეთს, შუა აზიას, კასპიის ზღვას — შემოვივლით დედამიწას და საქართველოს ტერიტორიაზე დაგბრუნდებით აღმოსავლეთიდან ისე, რომ მზე ისევ ჰორიზონტის მახლობლად იქნება, ე. ი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ცაზე მზე არ შეიცვლის თავის მდებარეობას. თბილისში დარჩენილი მოქალაქეებისათვის კი მზე ჩავა, დაღამდება, გაივლის ღამე, შემდეგ დღე და მიაღწევს მომდევნო დღის საღამოს ე. ი. გაივლის ერთი დღეღამე, ანუ 24 საათი. ამ ხნის განმავლობაში შემოვიარეთ დედამიწის გარშემო, გავიარეთ დაახლოებით 40 ათასი კილომეტრი (ნახ. 1.) ისე, რომ მზის ჩასვლას მუდამ აკლდა ნახევარი საათი.

თუ აღმოსავლეთით წავალთ და მუდამ აღმოსავლეთით ვივლით, მაშინაც დედამიწას შემოვივლით და თბი-




ნახ. 2

**დედამიწის
ირგვლივ
მოგზაურობათა
ნარმოსხვა**

ვთქვათ, საღამოს, მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე გაფრინდით თბილისიდან მზის მიმართულებით და დავედვენეთ მზეს ისე, რომ ყოველ ახალ ჰორიზონტზე გადასვლისას მზის ჩასვლას აკლდეს ნახევარი საათი. ამი-

ლისში დასავლეთიდან დაგბრუნდებით. განსაკუთრებით საინტერესოა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა პოლუსებზე გავლით. ამ მიზნით, ვთქვათ, გავემგზავრეთ თბილისიდან ჩრდილო მიმართულებით, 5 400 კილომეტრის გავლის შემდეგ მივალწიეთ ჩრდილო პოლუსს და იქ დამთავრდება ჩრდილო

მიმართულებით სვლა. ჩრდილო პოლუსიდან ყველა მიმართულებით სამხრეთია. მაშასადამე, ჩრდილო პოლუსზე თბილისიდან მისული გზის მიმართუ-



ლების შეუცვლელად სამხრეთისაკენ მიმავალი აღმოჩნდება. 20 000 კილომეტრის გავლის შემდეგ მივალწვეთ სამხრეთ პოლუსს (ნახ. 2), სადაც დამთავრდება სამხრეთით სვლა. შემდეგ ვივლით ჩრდილოეთის მიმართულებით და 14 600 კილომეტრის გავლის შემდეგ დავბრუნდებით თბილისში.

თბილისიდან დედამიწის ირგვლივ მოგზაურობას თუ დავიწყებთ, ნახევარი გზის (20 000 კილომეტრი) გავლის შემდეგ მივალწვეთ თბილისის მოპირდაპირე წერტილს. ეს არის თბილისიდან ყველაზე უფრო შორეული წერტილი დედამიწის ზედაპირზე (ნახ. 3). შემდეგ, გზის მეორე ნახევარზე მოგზაურობისას თანდათან ვუახლოვდებით თბილისს.

თბილისის მოპირდაპირე წერტილის მსგავსად, დედამიწის ზედაპირზე ყოველ წერტილს შეესაბამება მოპირდაპირე წერტილი. ესენია მაქსიმალურად დაშორებული წერტილები დედამიწის ზედაპირზე. ამ წერტილებს შორის სწორი ხაზის მონაკვეთი არის დედამიწის დიამეტრი, რომელიც 12 740 კილომეტრია. დიამეტრის შუა წერტილია დედამიწის ცენტრი (ნახ. 3). ცენტრიდან დედამიწის ზედაპირის რომელიმე წერტილამდე სწორი ხაზის მონაკვეთს უწოდებენ დედამიწის რადიუსს, მისი სიგრძე 6 370 კილომეტრია.

დედამიწის მიზიდულობა

ამრიგად გაირკვა, რომ შორ მანძილზე ჩვენზე გამავალ ჰორიზონტულ სიბრტყეს თანდათანობით სცილდება

დედამიწის ზედაპირი, მიდის სულ უფრო და უფრო ქვევით. რა ძალა იჭერს დედამიწის მთლიან ნივთიერებას სფერული ფორმის სახით?

— დედამიწის მიზიდულობის ძალა, რომლის არსებობა აღმოაჩინა და დასაბუთა ინგლისელმა მეცნიერმა ი. ნიუტონმა.

დედამიწა თავისი ცენტრისაკენ იზიდავს ყოველგვარ სხეულს და ნივთიერ ნაწილაკს, ამის გამოა სხეულები მძიმე და ისინი აწვეებიან დედამიწის ზედაპირს. ზოგი სხეული სიმძიმის გამო ვარდება დედამიწაზე. მაგალითად წყლის წვეთები წვიმის დროს. წვიმის ან თოვლის დნობით ფერდობზე გაჩენილი წყალი ეშვება დაქანებისაკენ, იქმნება ნაკადულები და მდინარეები. მდინარის წყალი, მიზიდულობის ძალის მოქმედების შედეგად, თანდათანობით უახლოვდება დედამიწის ცენტრს. დედამიწის მიზიდულობა აიძულებს ყოველ სხეულსა და ნივთიერ ნაწილაკს, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს დედამიწის ცენტრთან. ოკეანეებისა და ზღვების ზედაპირზე არსებული წყლის წვეთები მაქსიმალურადაა დაახლოებული დედამიწის ცენტრს. ისინი ყველა ერთნაირ მანძილზეა დედამიწის ცენტრიდან. (ნახ. 4) ამრიგად, მიზიდულობის ძალა აიძულებს დედამიწის მთლიან ნივთიერებას მიიღოს სფერული ფორმა.

დედამიწის დიამეტრი მოგზაურობის ნარეოსახვა

წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს დაუსრულებელი სიღრმის ჭა. ამ ჭაში ლიფტით ვეშვებით ვერტიკალურად ქვევით, ე. ი. მივყავებით დედამიწის ძალის მიმართულებას, რასაც შვეული გვიჩვენებს. ასეთ პირობებში ვივლით დედამიწის რადიუსის მიმართულებით და 6 370 კილომეტრის გავლის შემდეგ აღმოვჩნდებით დედამიწის ცენტრში, სადაც დამთავრდება ქვევით სვლა. იქ აღარ მოქმედებს სხეულებზე დედამიწის მიზიდულობის ძალა და შვეულის ძაფი აღარ დაიჭიმება. იქ სხეულები ჰვარგავენ წონას.

დედამიწის ცენტრს იქით თუ გავაგრძელებთ პირდაპირი მიმართულებით სვლას, მაშინ აღმოჩნდება, რომ მივდივართ ვერტიკალურად ზევით; შვეულის ძაფი ისევ დაიჭიმება და გვიჩვენებს, რომ მივდივართ მიზიდულობის ძალის საპირისპირო მიმართულებით. კიდევ 6 370 კილომეტრის გავლის შემდეგ აღმოვჩნდებით თბილისის მოპირდაპირე ადგილზე (ნახ. 4).


დედამიწის მიზიდულობა მოქმედებს

ცოცხალ ორგანიზმზე და კერძოდ თითოეულ ჩვენგანზეც. ამჟამად დედამიწაზე ოთხი მილიარდი აღმოჩნდა. ყველა მათგანისათვის ქვევით არის დედამიწის ცენტრი. მცენარეები იზრდება ისე, რომ ფესვები მიისწრაფვის დედამიწის ცენტრისაკენ. ამრიგად, დედამიწის ცენტრი არის ყველაზე ქვედა ნაწილი დედამიწისა. ეს არის თითქმის დედამიწის „ფსკერი“, სადაც ჩასვლამოსვლა მხოლოდ წარმოსახვით შეუძლია.

დედამიწის ატმოსფერო

ატმოსფერული ჰაერის ნაწილაკებზე (მოლეკულებზე, ატომებზე) დედამიწის მიზიდულობის მოქმედება იწვევს მათ სიმძიმეს (წონას). ატმოსფეროს ზედა ნაწილი აწვევა ქვედას და მთლიანად ატმოსფერული ჰაერი აწვევა დედამიწის ზედაპირს, რაც ქმნის ატმოსფერულ წნევას. ჰაერის სიმკვრივე სიმაღლის მიხედვით კლებულობს და 2 000 კილომეტრის სიმაღლეზე მთავრდება დედამიწის ატმოსფერო. ბევრად უფრო შორსაა ცის მნათობები, რომელთა შორის ყველაზე ახლოა მთვარე.

დღისით მზის სხივებით განათებული ჰაერი ლურჯი ფერისაა, თითქმის ბროლისებრი ცის გუმბათი ახურია დედამიწას. როცა ცა ღრუბლიანია, მაშინ ჰაერში შერეულია წყლის ორთქლი, რაც მოთეთრო ან, ზოგჯერ მუქ ფერსაც აძლევს ცას. ღამით მზის სხივები ჰაერს აღარ ანათებენ, ჰაერი უხილავია და თანაც გამჭვივრავლე. ამ დროს მოჩანან შორეული ვარსკვლავები და მთვარე. წყლის ორთქლი არაგამჭვირვალეა და მიღრუბლულობისას ვარსკვლავები და მთვარე უხილავია.





ს უ ლ ხ ა ნ
ქ ე თ ი ე ლ ა უ რ ი

მხატვარი
ი. საგსონაძე

მოსტერობა



ჩვენი სოფლის ზემოთ, საურმე გზას რომ აათავებთ და საცალფეხო ბილიკით ხელმარჯვნივ გადაუხვევთ, ტყით გარშემორტყმულ პატარა ველში ყავრით გადახურულ, ერთოთახიან ფიცრულ სახლს დაინახავთ. თუ ახლოს მიხვალთ და დაიძახებთ, სახლიდან ერთი ტანდაბალი, მკვირცხლი, ფუსფუსა და კაფანდარა ბერიკაცი გამოგეგებებათ.

ეს თედო პაპაა.
თედო პაპას მოკლედ შეკრეტილი თეთრი ულვაშები აქვს, ასეთივე თმა, მწითური, ნაოჭიანი შუბლი, მსხვილი, ჭადრა წარბები და ცისფერი, მუდამ მოლიმარი, შუქიანი თვალები. თავზე კიკიროზიანი ქუდი ახურავს და ტანზეც სულ მწვანე კილიტებით აჭრელებული მეტყვეის ფორმა აცვია.

მეტყვევობა ჯერ კიდევ მაშინ დაუწყია, როცა უწვევრულვამო ბიჭი ყოფილა, მაგრამ ისე შეჰყვარებია ტყე და ბუნება, რომ დღესაც, ოთხმოც წელს მიტანებული მოხუცი კვლავ

ამ ხელობას ადგას და ზამთარ-ზაფხულს მუდმივად მან პატარა ფიცრულ სახლში ატარებს.

არ იფიქროთ, თითქოს თედო პაპა ვინმე ეული და უთვისტომო იყოს. არა, სოფელში უზარმაზარი სახლ-კარი აქვს, ჰყავს შვილები და ბევრი შვილიშვილი. ისინი ხშირად ეწვევიან ხოლმე ტყეში და კახურ შოთებს, ცხელ მჭადს, იმერულ ხაჭაპურებსა და დოქით თავანკარა საფერავს მიუტანენ. ვალში არც პაპა რჩებათ, მათთვის ყოველთვის მზადა აქვს წნელისა და ყაპყატოს პაწაწინა კალათები. კალათებს ზაფხულში მწიფე მაცვლით, ჟოლოთი და ტყის სურნელოვანი მარწყვით გაუვსებს, შემოდგომასა და ზამთრობით კი პანტის ჩირს, წაბლს, თხილსა და შვინდის კერკს ჩაუყრის, წამოსვლისას ტარჭრელ კომბლებსაც ჩამოურიგებს და უკან გახარებულიებს გამოისტუმრებს.

ზაფხულობით თედო პაპასთან სტუმრობა მეც ძალიან მიყვარს. ჩავალ თუ არა არდადეგებზე სოფელში, მეორე დღესვე მისი ტყიური სახლისაკენ გავწევ. ჩამოუსხდებით მე და თედო პაპა საჩინში, ვსაუბრობთ და თვალს ბუნების წარმტაც სურათების ცქერით ვატკებთ. სახლი, როგორც გითხარით, პატარა ველში უდგას, ველი ფერადი ყვავილებით არის მოჩითული და ირგვლივ დაბურული ტყე აკრავს. ყვავილებზე ფრთახატულა პეპლები დაფარფატებენ, ხოლო ტყიდან ჩიტების სტვენა, ქედნის ღუღუნი, შაშვის საამო გალობა და ნედლი ფოთლის უწყვეტი შარიშური ისმის.

ჰო, მართლა, იქვე, ყვავილებსა და მწვანედ აბიბინებულ ბალახებს შორის თვალწმინდა ნაკადული მიჩუხჩუხებს, რომლის ნაპირებზე თედო პაპას საბოსტნე, საყვავილე და სანერგე აქვს გაწყობილი. მაგრამ ყველაზე კარგი სანახავი მაინც მისი სამხეცეა. ეს არის სახლს მიდგმული, მავთულხლართით შემოწული და მავთულისავე ბადურებით დატყორული საჩინი, სადაც თედო პაპას მუდამ ჰყავს დაჭრილი, ავადმყოფი ან დაობლებული მხეცები — შვლისა და ირმის ნუკრები, დათვის ბელები, მგლის ლეკვები, ზოგჯერ მელები, კურდღლები და ციყვებიც კი. პატარებს დაზრდის, დაჭრილებს და ავადმყოფებს უმკურნალებს, მოარჩენს და ისევ ტყეში გაუშვებს.

მაშინაც რომ მივედი, თედო პაპა თავის სამხეცეში დამხვდა. დირეზე იჯდა და კალთაში ფეხშეხვეული შვლის ნუკრი ეწვა. გადატეხილ უკანა წვივზე თავისი ხელით გათილი არტახები დაედო, თავზე ხელს უსვამდა და, როგორც დედა

შვილს, ისე ეფერებოდა. მე რომ დამინახა, კუთხეში დაფენილ წმინდა თივაზე დააწვინა და ცხაურა კარი გამოუხურა.

— თედო პაპა, — ვუთხარი მე, — ამ მხეცებს რომ ჰკუა ჰქონდეთ და რამე გაეგებოდეთ, დღე და ღამე თქვენზე უნდა ლოცულობდნენ.

— ლოცვავნ რა გითხრა და ამავს კი არ იფიწყებენ, — თქვა თედო პაპამ, კალთა ჩამოიბერტყა და დაუმატა: — ზოგჯერ სამაგიეროსაც მიხდიან

- სამაგიეროს გიხდიან?! — დავეჭვდი მე.
- ჰო.
- როგორ? რით?
- რითაც შეუძლიათ. ხანდახან ჭარბადაც მიხდიან.
- მხრები ავიჩიე და უნდობლად შევხედე.
- რათ, არა გჯერა? — მკითხა თედო პაპამ.



თედო პაპას არ უყვარს, როცა მის ნათქვამში ეჭვი შე-
აქვთ, მაგრამ მე მაინც გაგებდე და, არა მჯერა-მეთქი, ვუთ-
ხარო.

შეგატყვე, თედო პაპას ჩემი პასუხი არ მოეწონა, თუმცა
თქმით არაფერი უთქვამს, მხოლოდ განზე გადავა, ქუდი მოი-
ხადა, შუბლზე დაკოჰრილი ხელი გადაისვა და მჯერა ირგე-
ლივ შემოჯარულ ტყის წვერებს მოავლო, მერე მე შემომხედა
და საყვედურით მითხრა:

— მაშ, არა გჯერა, განა? კარგი, აბა ერთი დათვის ამ-
ბავს მოგიყვები და ნახავ, თუ არ იციან მხეცებმა ამავის
დახსომება და სიკეთის გადახდა. — შინიდან სამფეხა ჩიკა
გამომიტანა და ღერეფანში დამიდგა, თვითონ საჩინში გა-
მართულ სკამლოგინზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და და-
იწყო.

— მეტყევეობა ახალი დაწყებული მქონდა და ამ სახლის
ადგილზე ძელმიწური ქოხი მედგა. მაშინ მეც შენსავით ვი-
ყავი — ყველა მხეცი მტარვალი მეგონა, ბოროტი, ავი, სისხ-
ლისმსმელი, და ტყეში სულ თოფმომარჯვებული დაკდიოდი.
იმ წელს ადრე დაზამთრდა და თოვლიც თავიდანვე ხვა-
რიელი მოვიდა. ნოემბრის მიწურული იყო, სისხამზე ჩვეუ-
ლებრივ გავედი ტყეში და ერთ დაობლებულ ძუძუთა ბელს
წავაწყვი. შიმშილსა და სიცივეს ლამის თვალის ჩინიც წა-
ერთმა და ღონემიხდილი უკვე სულს დაფავდა.

ძალიან შემეცოდა, ფარაჯის კალთაში გამოვხვიე და წა-
მოვიყვანე, გავათბე, მოვასულიერე, საჭმელიც მივუმარჯვე.
ჯერ რეზინის საწოვართი თბილ რძეს ვასმევდი, მერე ხან
დამბალ პურს ვაჭმევდი, ხან ფეტვის ფაფას ვუხარშავდი.
ცოტა რომ წამოიხარდა, ტყიურ ულუფასაც მივაჩვიე — ტყი-
დან დამზრალი პანტა-მაჭალო, ჩახორცებული ფუტურთები
და ნაადრევი მაჩალო სოკოები მომქონდა.

ასე გავიდა ზამთარი. გაზაფხულზე, როცა თოვლი მთლი-
ანად დადნა, მზის სითბომ ბუნება გამოადვიდა, ბორა-ბუზან-
კალი გაცოცხლდა და ძირხვენა ბალახებმაც მიწიდან ყურები
ამოაჩინეს, ჩემს ბუნჩიასაც გულმა ტყისკენ გაუწია. სულ
უფრო ხშირად გამოდიოდა ეზოში, იდგა საათობით სულგახა-
ბული და გამოჩირთულ ტყეს ნაღვლიანი მზერით გაჰყურებ-
და. აღარც მე დავაკავე. ვიცოდი, თავის რჩენა უკვე აღარ გა-
უჭირდებოდა. უკანასკნელად კარგად გავაძღე, გავიყვანე
ღობის გარეთ, პირით ტყისკენ შევაბრუნე და, წადი-მეთქი,
ვუთხარი.

იმ ოთხ თვეს, რაც ჩემთან მყავდა, სულ ასე კაცის ენით
ვესაუბრებოდი და ლაპარაკს კარგად მივაჩვიე. ადექი, დაწე-
ქი, ჭამე, გადი, შემოდი — ეს სიტყვები ადამიანივით ეს-
მოდა.

სანამ ტყემდე მივიდოდა, რამდენჯერმე მოიხედა, თით-
ქოს ცხვენოდა რომ ამდენი ამავის შემდეგ მართლ მტოვებ-
და. ბოლოს შებრუნდა და წავიდა.

— მაინც წავიდა, ჰა? ტყის შვილი ტყეს დაუბრუნდა.

— ჰო, გამეყარა, — წყნარად თქვა თედო პაპამ და გან-
ზე გაიხედა, — მაგრამ, გულდაწყვეტილი კი წავიდა. უკა-
ნასკენელად ისე შემომხედა, როგორღაც სინანულითა და მად-
ლიერებით, რომ... და, სიმაართლე გითხრა, მეც გული დამწყ-
და. მერე რა, რომ მხეცი იყო, ჩემი გაზრდილი ხომ იყო, ამა-
გი მქონდა და დამენანა.

— რას იზამ, — ვაწუგეშე მე, — ბუნებაა და ბუნებას
კი წინ ვერ აღუდგები.

— რასაკვირველია, ბუნებას ვერსად წაუხვალ, — დამე-
თანხმა თედო პაპა, — მაგრამ უკვალოდ არც აღზრდას ჩა-
უვლია. შენ მერე ნახე, რა გააკეთა.

— რა? — ვკითხე მოუთმენლად და სამფეხა სკამი ახ-
ლოს მივაჩოჩე.

— აი, გაიმბობ, — თედო პაპა იდაყვით სკამლოგინზე აკე-
ცილ სასთუმალს დაეყრდნო და, დაინტერესება რომ შემატ-
ყო, თხრობა უფრო ხალისიანად განაგრძო:

— იმ ზაფხულს აღარ მინახავს, არც ზამთარში შემხედ-
რია, თოვლზე ხანდახან ნაკვალევს წავაწყდებოდი და იმით
ვიგებდი, რომ ისევ აქ, ჩემს ტყეში ბინადრობდა.

მეორე გაზაფხულზე ამ სახლის მშენებლობა წამოვიწყე.
ფიცარი ტყეგანაში გამოვავწირინე, საკოჭე ხეებზე კი ნებართ-
ვა ავიღე და თვითონ დავეჭერი.

წავაქციე ერთი შიმელა, მეორე, მესამე... ბოლო ხეს სწო-
რე საველი ვეღარ შევურჩიე, გვერდზე წამივიდა და ერთ
უხარმაზარ წიფელზე გაიხირა. რაღა არ ვცაღე — ღონეც,
ხერხიც, მაგრამ ადგილიდან ძერა ვეღარ ვუყავი. მეტი გზა
არ იყო, სოფლიდან დაუღლული ხარ-კამეჩი უნდა ამომეყ-
ვანა, ძირში ჯაჭვ-ჩანგალი ჩამება, გამომეწვიებინა და ისე
ჩამთეგლო.

— ამდგარიყავი და შენც სხვა მოგეჭრა, — ჩავურთე მე.
თედო პაპამ მწყურალად შემომხედა:

— რას ჰქვია, სხვა მომეჭრა? ბრაკონიერი ხომ არა ვარ,
უნებართვოდ ხე მოგეჭრა?.. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, გავიდე
ცული მხარზე და გამოვბრუნდი. ცოტა მანძილი რომ გამო-
ვიარე, უცბად ზურგიდან რაღაც ფაჩუნი შემომესმა. მივიხე-
დე და რას ვხედავ: მისდგომია ჩემი ბუნჩია ამ მოჭრილ ხესა
და ეჯაჯგურება. თეთრი ყელ-კისერი რომ არა, იქნებ ვე-
ლარც კი მეცნო — იმოდენა გაზრდილიყო, ორი წლის მოზ-
ვერს აღარ ჩამოუვარდებოდა. ნადირისაგან ასეთ რამეს პირ-
ველად ვხედავდი და, სიმაართლე გითხრა, ძალიანაც გამიკ-
ვირდა.

ვდგავარ და ვუყურებ, აბა რას იზამს-მეთქი. დიდხანს
ანჯღრია და ეძიძვილა, მაგრამ სულ ამოდ. ტორებით რომ
ვერათვერს გახდა, განზე გავიდა, ხეს ირგვლივ შემოუარა და
ხან ერთი მხრიდან შემოხედა, ხან-მეორე მხრიდან. ბოლოს
მოიფიქრა, რაც უნდა გაეკეთებინა: ქვეშიდან მხრით შეუჯდა,
მიაწვა ერთხელ, ორჯერ. მიწაში ჩასობილი ძირი აუწია,
აატივტივა და ეს ამოდენა ხე ძირს დაანარცხა.

კმაყოფილმა შორიდან ისე თავმომწონედ გამომხედა,
თითქოს იმის თქმა სურდა, — აი როგორი ბიჭი ვარო. ცო-
ტა ხანს იქვე დაყუნცდა, დაისვენა, მერე წამოდგა, მხრებ-
ში შეიჩჩინა, კისრიდან და ბეჭებიდან ხავსი ჩამოიბერტყა და
ნელი ძუნძულით თავქვე დაემგა...

— ეს მართლაც საკვირველია! — წამოვიძახე.

— კი, მეც გამიკვირდა, — კვერი დამიკრა თედო პაპამ.
— მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მეორედ უფრო საკვირველი
რამ ჩაიდინა. — გაიცინა და ხმამაღლა დაუმატა: — აი ის
იყო! ის უნდა გენახა!

— მიამბე, რა, თედო, პაპა, — შევეხვეწე მე, — ბარემ
ეგეც მიამბე!

— გაიმბობ, მაშა, რატომ არ გაიმბობ. აი, ერთ პაპიროს-
საც მოვუკიდებ და გაიმბობ.

მაგრამ სანამ სიგარეტს მოუკიდებდა და თხრობას განაგ-
რძობდა, სამხეცედან ნუკრის გაბმული ხავილი გაისმა.

— მომიკვდეს თავი! — თედო პაპამ ხელი შუბლში შე-
მოირტყა, — წყალი უნდა დამელევიებინა და აი, ლაპარაკ-
ში სულ გადამაგიწყდა. — ახლავე, ბიჭინო, ახლავე, — გა-
ეხმიანა ნუკრს და მისკენ წავიდა. მეც უკან ვაყვევი.

ნუკრი მავთულის ბადეს მოსდგომოდა, ცმუკავდა, ფრუ-
ტუნებდა, წყლიან თვალებს ახამხამებდა. თედო პაპამ ხელი
გადაყო, თავზე გადაუსვა, მოეფერა.

— როგორ დამავიწყდი, ჰა. ცუდი ძიძა ვარ, ძალიან ცუ-
დი... მაგრამ ახლა აღარ დავიგვიანებ. ნაკადულიდან ცივ
წყალს მოვირბენინებ და საჭმელსაც მოგიტან, რძიანა ბალახ-
სა და მაცვლის თოთო ყლორტებს მოგიტან, ჰო, ჰო, ახლავე,
ამ წუთას.

თედო პაპამ ნუკრი დაანშვიდა, მერე მე მომიბრუნდა და
მობოდიშებასავით მითხრა:

— რა ვქნა, უნდა მაპატიო, ახლა ვეღარ მოვასწრებთ.
წყალი კი ახლოა, მაგრამ საჭმელი ტყიდან უნდა მოვუტა-

ნი. როდისმე სხვა დროს შემოიარე ჩემი დათვის ამბავსაც დაგასწავლე და სხვადასხვა მოციუნე. თავს შენი წყალის დრო, გზები არ დაგადაგდე.

მართლაც შეუ ნადავლა გოგას ჩაგვარებოდა, მე კი სოფ-
ლადაც კარგა შორი მამხილე მჭირდა გასასულიყო.

●
თელი პაპასთან მეორე დღეც უნდა წაისულიყო, ასე მჭირდა გადაწყვეტილება, მაგრამ დღეს ისეთი თავსება წყობით გაიწვია, რომ მიზანს გარე თუ ვეღარ განვიფიქრო. ვერც ესაძინე და მეორე დღეს წავიდე — აღარ და აიპარე მაგალიტა წვიმამ. ეს ხანდაზნა მოვიარებინა — ღრუბერი მაგალიტა აწვიდა და ძაბოვ გახანდაზნებოდა, მაგრამ ხანამ ჩავსახა და გარეთ ვასვლას მომეპარებოდა, ხეობაში ტყვიისფერი ღრუბლის ახალი შენიშნა შემოვირავებოდა და წვიმას ცალკე შეიღო ძალით დაუწყებდა.

მეორე დღესა ჩემი გამოვლიდა, ლოცვინი მიტების გა-
შეშლი სანა-სუკიცი შემოქმედა. იმე ვაწმ წამოხრტი და აიგანზე გაგვიარდი. სადღა იყო ვაწილი და ღრუბელი მისარ-
კულ ცხუ პირანათლი ვერ გადმოხდაცოცხლო და შეუცხადან-
რეულ დღემამის ნულ სითხის აფიქვევდა.

ჩაკი გამოხიდას, აღარც მე დაყოფიერ შეზე კარგა რომ შეიმაღლა, ჩამოვება და ნაში შიშა, მოკლე აბრიალბო ქურ-
ლუკი ჩაივლი, მიწაზე ფოტოაპარატი გადავიცილ და თვლი მასაბე უბნის სხობოვებო ვეძილა აღარც შევლის ნურაი ჩან-
და. მის კოლონიას ახლა ხანდაზნული დანლის სიყვითლე იდგა და მზე ნახევარ დაბნეული ორი ბაზალა ცუქვე-
ლობოდა.

რისი ბარტყები იყო, ვერ ვაგვიფ, მაგრამ მტაცებლის ხი-
ლაღისანი რომ იფიქრე, ეს კი აშკარად გაყოფიდათ — მომ-
ვაგზო-მოწითალი თვალბეს უშიშარად აბრიალბოდნენ, მოვა-
ფოტოაპარატი დაგვიტყნეს და სურათი გადავიღე. მეც
საკადულზე გავედი, ქოცველი დღეობიერ და ვადავალბო
სოკათი დავწარბინე — აღარ წიოდნენ, მაგრამ თანხ თვ-
ალბეს კი ცლავა შეპირით მიმბრიალბოდნენ.

ამასობაში თვლი პაპას მივიდა. სოფელი შორისთვის
ყოფილიყო წყალბო. მე მანძილ ნურაი ვითობე.

- გაუგებე? — შიშარა თვლი პაპას.
- მეც დიხე? უკვე მოიჭრა?
- შიშარა.
- ასე ხელზე?
- მზეცხეს სატყვიარი მალე უნებთან. ისე შევიტყნებუ-
მა, რომ... სულ ხედავ-გატყნებო წივდა.
- მე კი როგორ მოვიხიდა, სურათი გადავიღე, —
ვთქვი სინაღალი.
- აი, ამათ გადავლე. — თავით ბაზალბობსაცენ მანიშ-
ნა და შორეს ქალბული შემოხინა, ქარბაზთან ცალბარა ურ-
სალბა ამბობო. სინაღ უბნის კუნძუ დიდი და წყრილ-
წყრილ ნაჭრბად დახრა.
- ამათ უკვე გადავლე, მაგრამ ის კი არ ვიცი, რისი
ბარტყებია, სურათს მას გადავიღე.
- არწივის მარტყებია, ბიჭო. რი დაიწარბდინან, შენ მან-
ძი ნახე, ხან იზარბე, როგორ მოიხინან ყვილის მობრბევენ.
- სად დაიჭობენ, თვლი პაპას.
- სული, სიარბის კლბობი.
- ორივენი კოლონიის მივდივით. მართავევბას სორის სურე
ნიჭს, მისკატყნებს ფარხოდ დაავლის და ისევ აწვილბოდნენ.
ჩვენ სათითადა ვიფიქრებოთ პირში სორის ნაჭრბეს ბარტყე-
ნიშულ კისრბეს წივბობდებოდნენ, ლუკასმა ხანდაზნა დავა-
ლადავებინა და ისევ დაიწვილბოდნენ ხილბე.
- შერე, დღე-მამას რომ მოსწონი, არ გვიმბინო? —

ვითბე მე — გამოხინა, არწივები ბუდებთან ანა სულოდინ
არ გაუტყნებოდა.

დღე-მამას რომ ცოცხალი შეყოლიდა, ვერც მივბედა-
ვი. მაგრამ, ატყნა, ვიდეც ურუბას მიმბედავბო მიუვლეს
ბილო — ამ მოსწონეს, ამ თოფით დახოცეს, როგორ მიხე-
ბო? ძალიან ზუსტად: ბუდე წინავე მჭირდა შემოხილბო.
ჩამწებვარც კი სიარბისცხე ავილიდი, ხან დღეობიერ
ქრედადი შემოხიდას, ხან — მამარკიცი, სოფარე კი
იორივე ურთავდა. გუნინ, წვიმამ რომ ილიო, იქით ავიარე
და კლბობამ მართებობის წივლა გავიფიქრე. თითონ არწი-
ვები არსად ჩანდნენ. ადამია, სანაფილდე არბან წყალბობი-
წივლი, გაიფიქრე და ეს ანაფიქრე, მაგრამ უკან რომ გა-
მოიჭრებოდი, არწივები ცლავ არსად ჩანდნენ, ხილი ბარტ-
ყები



ყები დიღანდელზე უფრო ხმაგაღლა და შესასრალსად წი-
ოდნენ.

გამიჭირდა აქ რაღაც ამბავი-შეობა, ვთქვი ბულის მი-
ვლით მინას, იქთან შეტყნებო დღეობიერად ვევიცი, რა
სწება, რატომ მიატყნეს არწივები? მეუბნენ ამდენი ხანი
შერე ჩავიდე, თანდათან ეს ბილბე გადავარც კველა
უროსთან ბუდეს დაუბრუნებ და ცოცხალბოდი. არწივები
ის კი და არ გამოხინდნენ, ცხადია, ცოცხლობენ აღარ იფიქრენ,
თითონ უფროც სხვა დროინდელი, დახმებობისთანავე ისინი
ლოკო თოფით თავის ბუდე-სანაბანდრის დაუბრუნბოდნენ. —
ჰოდა, წამბობებოვან აქ ვიხი.

ბარტყეები გამოხინდნენ, დაწარბდნენ და ყველგველადაც
გამიჭირდა შეტყნებო წყარბებინ თვლი პაპას ბუდეს ბაჭკის
კლბოვ გადავარც და ისევ დიწვირებოთ გამოვიდეთ. მე ამას
წინაშეხილბო შეტყნა მთავარბე.

— კი, მამბობი, — შიშარა თვლი პაპას და ზომიერ მიე-
რული მიმანახებ ზელები თვლი პაპას. — ის სიბრბედი, ხს
ჩამბობებოთ როგორ მიწვილა, ჰოდა, ახლა სხვადასე გამი-
ბინ. — სკამლოცინზე დამვა, თვითონაც ვეგვითბოთ მომბე-

1348

და, ფორბის ქუდი კვედლი ჩარტობილ ლურბამზე ჩამო-
კიდა და მიმბედავბოთ ახლავ სიფარცეს მიუვიდა.

— გადავ კვედე ურთი წყარბული, ერთხელ ტყვიმი ბრა-
კონობრბას წყარბებო. მეუბნე მოვტყნე და მორბადე ამს-
დავბოცე. მივდიდი და ნუგარბოა მთავივე შევის მიწარს ნუ-
გარბა რომ არ იწებებოდა, ეს ხომ ვიციდი, მაგრამ მინივე
მოვბოცე, ისე რა, ვასიდავ, ჰოდა, რომ არ აღბინადავ,
აჭბის მდებრე დავაპირე უტეხა მეცნენ, კალბული და ფან-
კანი ხილბად გამოხინდნენ, თოფი წყარბებეს და ცხმა
დასწივენი.

სანაში იფიქრე. სამ კვირამ რას ვაგვბდებოდი — წამბეკრეს,
ზედ დასწივბოდი და ყველა წამბეკრეს.
სანამ დავიღებოდი, ვიბრბიდი — ვუბდი, კიბობობი

იყო და ის, მის შერე ჩემს ტყვიამ ბრაკობობრბას აღარ გავუ-
ხმებო.

— თვლი პაპას, შენ აქ ისეთი დღეობიერად ვიციდი, იმის
მინით მზე ვიცი მოვბედავდა? — გაუწიდე მე.

— კი, ახლა ვედავებოდა თვლი პაპას, — შენ კი არა
გვრცა და გამოხინა, როგორც რთი გამოხინა, —
— ახლა გვჯერას, თვლი პაპას, მაგრამ ეს ვერც შევ-
ცხად, ნადიროსებან თვლი ბუბისმობრბას მამაქ ვერც ვიცი
წივბი.

— ნუ გვიკრის, შეილო, — თქვა თვლი პაპას, — ნადი-
რიც ჩვენსებანი ბუნების მოვლია, ბული და გრინობაც ისეთი-
ვე აქვს და, თუ კარგად მოსკვევი, არავრცხ დაუმბედა, ბუდეს
უბრებო და ღაუჭობობრბი, მადლა და სიკეთეს იმბივე-
ბეს. ახლა ის უნდა ნახო, როგორ გატყნებოდა, სანაფილდე
მოხიროდა დიხობი მომბაკობობრბას, რა სისიფიბობა და
შედასწიდა.

- შე ისევ დაგვრბობდი, თვლი პაპას მიმბედავ და შეუკვიბობა:
- რაი კიდეც არა გვრცა? — ვუბდე თვლი პაპას.
- არა, უბრალოდ ვერ ვაგვიფ, — ვუბდე თვლი პაპას.
- რა არის აქ ვეგვბრბა? — გავჩრა თვლი პაპას. —
როცა გაუჭრბდებო: ამ სანაფილდე მოვლივებო, ამ სატყვიარი
შეაწვიებოთ, სანაფილდე მომბაკობობრბა-შეობი, გუბრბობი.
- როგორ, მოვლენ და გვეგვიანა, ესა და ეს გვტყვი-
ავტობის, გაწვივბეს ასე ვიფიქრებო?
- სწორედ ასე, მოვლენ და მეტყვიან, თავისებურად მე-
ტყვიან.

ეს მართლაც დაგვრბობელი რაღაც იყო და ჩემდაუბრე-
რად ხმამაღლა გაეგვიანა. მტყნებობდა თვლი პაპასი, მა-
გრამ თავი ვერც ვეგვიფ ბილო ძალიან რომ არ სწყვნიდა,
თავიანავე ვუბნობა:

— რა გუნა, თვლი პაპას, ნუ გადვიტებოდა, ამას კი ვე-
ღარ დავიტებო, მანდავებო ნაწილ ვაგვიტებო.

თვლი პაპას კარგა ხანს მას არ ეგუნა, წამბეკრბებული
განბო იფიქრებოდა, ბილოს მანვე შემოხრბოდა ჩემზე.

— კარგი, ჩაკი არა გვრცა, არც ამბავსაც მბეჭევი, —
მიბრბა ტყვიანი, თითლის დაჭრბობილაც, — ამას ყველა
გუნა, რა გადახმად ამ სამი წლის წიათი. — წიათი ბო-
ფიბრბა. — კი, მანდავებოდა სამი წლის წიათი იყო, — თქვა
თავისთვის და განაგრცა. — პირველი თოფლი რომ მივიდა,
ტყვის დასხმებდა ვაგვიდი. პირველ თოფელ ნაგველზე კარ-
გად ეტყვიას და ტყვიმი მიზანბრე ნადიროსა სინარკობეს,
მათს წილოვ კლბა-მატბას მამინ გამოწვივბითი სიბოდე,
და, ჩაკელი მიფიქრავ და უბნად ვიმი მოლოარე ფოტყტრეს
და, თვლი პაპას და უბნად ვიმი მოლოარე ფოტყტრეს და თვა-
წიავეგვი თოფ. წყარბის პირას, დიდ ლოლბოთ იქცა და თვა-
წიავეგვი თოფ. მტყნებობდა ნადიროსეს ხანდაზნა მხებრბლის
სინარკობელად თავის მომბედავბურბა და, სინარკობელ
გოთბას, პირველად ცოტა შეშეშინა. — იმან არ დამბი-
ბლობის და არ დამბელოდობს-შეობი.

თოფი მოვიბარევედ და კარგად დავაკვირიდი. არა, ხანში
არავიერი ტყვიობდა, პირითი, თოფითვე უტყნობ რაღაც:
წავსებებოდა და აჩქარებოთ სუნებდავ. ხალებით მოხატულ
ტანზე ირბობის იმბივარი სხობდა. მიხედენ, რომ ამ ძლი-
ერ ავიდ იყო, ამ ნატყვიარი სხობდა.

პირანავე მანივე ვერ ვეფილ და, ხანამ ახალი მიფიქრდი,
ვერც ხმამაღლა ჩავსებებოდი. მთელი ტანით შეტყნა-შეგვიღი-
ბუნდა, თვალბული გახილბა და მე, ადამიანი რომ დამბინა,
ქანაღლი დასწვივბინა, წამბოვბობა მომბინა, ჩამწებვარც
ქანაღლი დასწვივბინა, წამბოვბობა მომბინა, ჩამწებვარც
ქანაღლი დასწვივბინა, წამბოვბობა მომბინა, ჩამწებვარც

ქანაღლი დასწვივბინა, წამბოვბობა მომბინა, ჩამწებვარც

თებული ყვითელი თვალები შიშითა და მუდარით მომაშტერა და ყრუდ, გაგრძელებულად დაიკვნესა. მაშინ კი საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა და მივებდე.

მართლაც დაჭრილი გამოდგა. მერე გავიგე, ღამით ფერმას დასცემოდა და მწყემსებს ესროლოდა. მსხვილი კარტეჩები ერთი კისერში მოხვედროდა, ერთს უკანა ბარკალი დაეგლიჯა. ორივე ნატყვიარი რბილ ადგილებში სჭირდა და იმდენად საშიში არ იყო, მაგრამ ყინვაში წყლულები დახავროდა, დასიებოდა და სახსრების საძრაობა წართმეოდა.

ბევრი რომ არ გაფაგრძელო, შევუჯექი მხრით, წამოვიკიდე ზურგზე და წამოვიყვანე. ღუმელის გვერდით დაბამბული ქურთუკი გავუფინე და ზედ ძველი ფარაჯა დავახურე. იმავე წამს სოფელში გავიქეცი და აფთიაქიდან წყლულის წამლები, ბლომა ბამბა და სიცხის დასაწევი აბები წამოვიღე.

დავუწყვიტე მკურნალობა, ნატყვიარები ჯერ მდულარე ერთბოთი დავუდაღე, მერე წამლები დავადე. საჭმელიც კარგი ვუშოვე. ფერმას იმხანად ერთი ბებერი ცხენი მოჰკვდომოდა და იმისი ხორცი სულ მე წამოვიღე. ჯერ ვუხარშავდი, ცოტა რომ მიიხედა და მომჯობინდა, უმსაც ვაჭმევდი.

სიცხე ერთ კვირაში გამოუნელდა, თვის თავზე ჭრილობებიც შეუხორცდა და სახსრებს საძრაობა დაუბრუნდა. წამოდგომა და სიარული შეეძლო. ნატყვიარები უკანასკნელად საგულდაგულოდ შევუხვით, სალბუნიც ბლომად დავადე და გავუშვი.

გავიდა ორი წელიწადი. ადრეული შემოდგომის ერთ დღეს კარში გამოვედი და ამ სკამლოგინზე ჩამოვჯექი. ვზივარ ჩემთვის და ჯერ ისევ დილის ბინდში გახვეულ ტყეს გავცქერო.

უცბად, აგე, ტყისპირა ბუჩქებიდან, რაღაც ღრენა და ბურტყუნნი შემომესმა. გავისხედე, მაგრამ თვალთ არაფერი ჩანს, მხოლოდ ბუჩქები ირხევა და ვიღაც თუ რაღაც ჯავრიანად ბურტყუნებს. გავედი დერეფნის წინ და ველოდები — რა არის ან რა მოხდება-მეთქი.

არ გასულა ორი წუთი, რომ ბუჩქებიდან თეთრ-ყვითელი ხალხებით მოხატული ფოცხვერი გამოვარდა. პირით რაღაც ეჭირა, მაგრამ რა იყო, ბინდბუნდში კარგად არ ჩანდა. შუა მინდვრამდე მოიბინა, ის რაღაც, პირით რომ ეჭირა, ნაკადულის პირას ბალახებში დააგდო და თვითონ ისევ უკან გაიქცა.

ავიღე თოფი და წავედი, ერთი ვნახოთ, რა არის-მეთქი და ბალახებში პატარა ბოკვერს კი წავადექი. თურმე რა მომხდარა: ალესილ სიპზე წინა ფეხის ტერფი გასჭროდა და გაარჯლებოდა. ჭრილობას დედა ყოველთვის ლოკვით ურჩენს ხოლმე, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად თვითონ ვერაფერს გახდა და სამკურნალოდ ჩემთან მოიყვანა. გულადმა ეგდო, რუმბივით გასიებული მარჯვენა თათი მალლა აეწია და საცოდავად კრუსუნებდა.

— რა იცოდა, რომ აქ შენ იყავი და მოარჩენდი? ვკითხე თედო პაპას.

— იცოდა, თვითონ ხომ მოვარჩინე, ჰოდა, რაც თავის თავზე გამოსცადა, ის შევილზეც გაიმეორა.

— ვითომ ის შენი მორჩენილი ფოცხვერი იყო?

— რა თქმა უნდა, სხვა უფრო ვერ მოიფიქრებდა.

— დავიჯერო, ამდენი ჭკუაცა აქვთ?! — გულწრფელად გავიოცე.

— მეც ძალიან გამიკვირდა, მაგრამ სხვა ვერავითარი ახსნა ვერ მოვეუნახე. რაკი მოიფიქრა, ჩანს, ჭკუაც აქვთ და მახსოვრობაც. ჰოდა, ასე იყო. ჭრილობა, იქვე, ნაკადულზე მოვბანე, ღრმა არ იყო, მაგრამ შიგ ქვიშა და ტალახი ჩასვლოდა და დაჩირქებოდა. წყლულზე ცხვრის ღუმა დავადე, ზედ ქირზის ნატყერი შემოვახვით და მაგრად შევუკარი. მერე წავიყვანე და, სადაც დედამ დატოვა, იმავე ადგილზე დავსვი. მეტი მკურნალობა საჭირო არ იყო. ღუმა ჩირქს იმავე დღეს გამოსრუტავდა და, სანამ ქირზის სახვევი მოაცვდებოდა, ჭრილობაც მოუჩრებოდა.

გუმანით ვიცოდი, რომ დედაფოცხვერი იქვე სადაც უნდა ყოფილიყო. მტაცებელი ნადირი ლეკვს თავს ადვილად არ დაანებებს. და მართლაც, შემოვედი თუ არა დერეფანში, ბუჩქებიდან იმანაც თავი გამოყო. ფრთხილად მიმოიხედა, კიდევ ხომ არაფინ არისო, და რაკი ახლომახლო სხვა ვერაფერს დაინახა, შეილისაკენ უშიშრად წამოვიდა, დაავლო პირი და გააქცია. აი რას შევესწარი სამი წლის წინათ — დაასრულა თედო პაპამ და ნიშნისმოგებით შემომხედა. — აბა, ახლა რაღას იტყვი? ხედავ, რამდენი საოცრება ხდება ამ ჩუმ და დაბურულ ტყეში? აი, როგორი ნდობა და მეგობრობა იციან ბუნების უნაპირო შვილებმა? ახლაც იტყვი, მხეცებს გრძობა არა აქვთო, ჭკუა არა აქვთო და არც სიკეთის დახსომები-სა და გადახდის რაიმე გაეგებათო? ჰა, ახლა რაღას იტყვი?

რა უნდა მეთქვა? უკვე მჯეროდა, მაგრამ ვაოგნებული ხმას ვერ ვიღებდი და გულში მხოლოდ იმას ვწუხდი, რომ მეც თედო პაპასავით არ ვიცნობდი ბუნებას, არ ვიცნობდი მის ბინადართ და არც მათი უცნაური ზნე და საქციელი ვიცოდი.

თედო პაპა თითქოს მიმიხვდა სინანულს და გამომშვიდობებისას გონივრული რჩევით მანუგემა:

— უნდა იცოდეთ, შვილო, ბუნება, ახალგაზრდობამ უნდა იცოდეთ... იგი მდიდარია, მრავალფეროვანი და ამოუწურავი. უნდა ისწავლოთ, ხშირად უნდა იართოთ მის წიაღში და შეიცნოთ, შეიყვაროთ. აი, მაშინ გახდება იგი თქვენი ნამდვილი მეგობარი, თვითონაც შეგიყვარებთ, მოგენდობათ და მთელ თავის სიკეთეს, სილამაზესა და საოცრებას თვალწინ ხელისგულივით გადაგიშლით.





აპრილის თვეში პიონერულ ორგანიზაციაში ანგარიშგება-არჩევნები ტარდება. მარტის თვიდან პიონერული აქტივი მზადებას იწყებს, ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას საგულდაგულოდ მომზადება სჭირდება.

სკოლაში აბა ვინ არა გრძნობს, რომ რაზმეულის მუშაობა პიონერულ აქტივზეა დამოკიდებული. თუ აქტივში ასარჩევი კანდიდატურა თავიდანვე მოფიქრებულია, დაკვირვებულად არ შეიძლება, გაუჭირდება რაზმეულს პიონერული ცხოვრების წინა ხაზზე დგომა, საკავშირო მარშის მარშრუტების მიხედვით სხვებისათვის ფეხის აწყობა.

...ანგარიშგება-არჩევნები ჯერ რგოლებში ეწყობა.

რგოლის ხელმძღვანელები და პიონერები, როცა შარშანდელ მუშაობას გაიხსენებთ, მთავარ ყურადღებას პიონერების საქმიანობაზე შეაჩერებთ, დაუფარავად იტყვიან თუ როგორ მონაწილეობდნენ ისინი რაზმისა და რაზმეულის საქმიანობაში, როგორ სწავლობდნენ და მომავალში რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა მუშაობა უფრო სახალისო და საინტერესო გახდეს, რგოლის ახალ წინამძღოლს პიონერები ღია კენჭისყრით აირჩევიან.

რაზმის საბჭოს შარშანდელი მუშაობის თაობაზე ანგარიშით რაზმის საბჭოს თავმჯდომარე წარსდგება; მის შემდეგ პიონერები გამოვლენ; ისინი მათ მიერ მომზადებულ და ჩატარებულ ღონისძიებებს გაიხსენებენ, ისაუბრებენ, თუ რა საინტერესო წამოწყებები დატოვა საანგარიშო პერიოდში რაზმის საბჭომ. ამასთან ერთად რა ნაკლოვანებებს ხვდებოდნენ, როგორ იბრძოდნენ მის გამოსასწორებლად, აქვე დასახევენ მომავლის სამოქმედო გეგმებსაც. ამ შეკრებაზე პიონერები რაზმის საბჭოს წევრებს, კედლის გაზეთის რედაქტორს ღია კენჭისყრით აირჩევენ, რაზმის ხელმძღვანელი კი თავისთავად შედის რაზმის საბჭოს შემადგენლობაში.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე და რაზმეულის საბჭო რაზმეულის საერთო შეკრებაზე აირჩევა ღია კენჭისყრით იმის შემდეგ, რაც რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშს ჩააბარებს საბჭოს შარშანდელ მუშაობაზე და მის გარშემო კამათი გაიმართება.

უფროსი პიონერხელმძღვანელი რაზმეულის საბჭოში აურჩევლად შედის. სასურველია რაზმეულის საბჭოში უფროსკლასელი პიონერები ავირჩიოთ, მათ ხომ საზოგადო-



პიონერთა აპრილის კლუბი

იქნებ ნასოსპიო სკვასს უჭირო?

ებრივი დავალებების შესრულების უფრო მეტი გამოცდილება აქვთ.

ორი აზრი არ არსებობს, რგოლის ხელმძღვანელად, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეებად, და საერთოდ, პიონერულ აქტივში მხოლოდ ღირსეულთ ავირჩევთ — ყველაზე მოწინავესა და აქტიურ, ინიციატივიან პიონერებს, რომლებიც ამასთან ერთად კარგადაც სწავლობენ, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე, პიონერულ აქტივში მათ ირჩევენ, რომელთაც მხოლოდ ხუთიანები თუ ოთხიანები აქვთ წარმატების ფურცელში ჩაწიკჩიკებული, პრაქტიკულად გამოცდილებამ კი დაგვარწმუნა, რომ მოსწავლე პიონერული კოლექტივის მეთაურად რომ აირჩიონ, ამისათვის მხოლოდ კარგი ნიშნები როდი კმარა. მარტო სწავლაში ხუთიანები არ ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია კოლექტივის გაძღოლა, თუ არა აქვს ორგანიზატორული მუშაობის უნარი, არ გამოიჩინება თაოსნობით...

პიონერულ აქტივში მხოლოდ ისეთი პიონერები უნდა ავირჩიოთ, რომლებიც პირად ინტერესებზე მაღლა აყენებენ კოლექტივის ინტერესებს, აწუხებთ ამხანაგის ბედი, იბრძვიან რგოლის, რაზმის, რაზმეულის, მთელი სკოლის სახელისათვის.

აღსანიშნავია, რომ პიონერული აქტივის წერილები ხშირად მოდის


„კოცონის“ სახელზე რედაქციის კლუბის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილებს და შეკითხვებს გამოეხმებურნენ ცხინვალის რაიონის სოფელ ბელოთის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე მელანო ტერაშვილი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ირაკლიან-სონია, გეგეჭკორის რაიონის სოფელ კიწიის საშუალო სკოლის მე-4 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე სუსანა შულაია, დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მე-6 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე გიული დუდაური და სხვები; მათ წინადადებებს „კოცონის“ ხელმძღვანელობა შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებს.

ამჯერად, როცა რაზმეულში მომავალ ანგარიშგება-არჩევნების მომზადებისაკენ არის მიმართული თქვენი ყურადღება, ისაუბრებთ საკავშირო მარშის მარშრუტების მიხედვით თითოეული რაზმის, რგოლის, პიონერის მუშაობაზე, იმაზე, თუ რუსთაველ მეტალურგთა მოწოდებას, შემდეგ კი წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის სკოლის მოსწავლეთა მიმართვას, როგორ ახორციელებთ ცხოვრებაში, სწავლასა და შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორ იბრძობენ წესრიგისა და დისციპლინის დასამკვიდრებლად კოლექტივში, — უსათუოდ ყურადღების ცენტრში დაღვება პიონერი, მოსწავლე, მისი ბედი და მომავალი, ყოველდღიური საქმიანობა; თქვენს შორის უსათუოდ იქნება ისეთებიც, რომელთაც პიონერული კოლექტივის, თქვენი — პიონერული აქტივის გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება. ამას წინათ, რედაქციაში, „კოცონის“ სახელზე ახმეტის რაიონიდან ბარათი მოვიდა...

ნატოს გვარისა და სკოლის დასახელებას შეგნებულად მოვერიოდეთ, წერილს კი უცვლელად ვებეჭდავთ. ნატოს გასაჭირი იქნებ თქვენი რგოლის თუ რაზმის რომელიმე პიონერს, რომელიმე თქვენთაგანსაც ადგას?

...ვისწავლობ მერვე კლასში, შვიდი კლასი სულ ხუთებზე დავამთავრე. ვცდილობ, მერვე კლასშიც ასევე გავაგრძელო სწავლა. თქვენ ალბათ გგონიათ რომ მე ბედნიერი ვარ, მაგრამ ასე ნუ იფიქრებთ, მე ძალიან უბედური ვარ. თუ რატომ, ამაზე ახლავე გაგცემთ პასუხს.

ძვირფასო რედაქცია! თქვენ ჩემზე კარგად იცით, რომ თუ პიონერულ საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებ, მარტო სწავლა არაფერია;



საუბედუროდ კი არიან ისეთი პიონერები, რომლებიც პიონერულ საქმიანობას თავს არიდებენ. ეს რაა! ამაზე მეტსაც გეტყვით, არიან ისეთებიც, რომლებსაც პიონერულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მაგრამ მშობლები უშობიან ხელს. მეც ასეთ დღეში ვარ. მეორე კლასიდან დაწყებული, დედაჩემი ყოველთვის მიკრძალავდა გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩენას. მე უბნებოდა, როგორც კი გაკვეთილები დამთავრდება მაშინვე შინ მოდიო. მე კი, როგორც კარგი ნიშნების მქონე, რაზემეულის საბჭოს შემადგენლობაში შემიყვანეს და ხშირად ვრჩებოდი შეკრებაზე, ხოლო, როცა შინ გვიან დავბრუნდებოდი, დედა მიჯავრდებოდა.

მეხუთე კლასში ინტერნაციონალური კლუბის მუშაობაში ჩავები, მინდოდა აქტიური მონაწილეობა მიმეღო. ეს რომ დედამ გაიგო, წამეჩხუბა. შენ რატომ ითავებ, სხვები გააკეთებდნენო.

საერთოდ, როგორც კი საზოგადოებრივი დავალების შესასრულებლად გაკვეთილების შემდეგ დარჩენა მიხდებოდა, ყოველთვის მეუბნებოდა, შენ რატომ, სხვები დარჩნენ და მათ აკეთონო. მეტიჩარა ხარ, გინდა შენ აკეთო ყველაფერიო. ასე იყო, როცა რაზემეულის საბჭოს დავალებით ვაგროვებდით ჯართს, მაკულატურას, ასკილს. ხშირად მიტირია, რადგან დედა მიშლიდა იმ საქმის გაკეთებას, რისკენაც გული მიმიწევდა.

ერთ დღეს ორი გაკვეთილი გავვიცა, ამხანაგ ვოგონებს ვუთხარი, შინ არ წასულიყვნენ, მოდი, მოვიტათობიროთ როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენსა და ბიჭებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს-მეთქი (საერთოდ, ჩვენს სკოლაში მერვე კლასებში უამხანაგო ბიჭები არიან, როცა რომელიმე ბიჭი ჩვენთან მეგობრობას დაიწყებს, მას სხვები დასცილნენ და „ქალაჩუნას“ ეძახიან, ამიტომ არ არის ჩვენსა და მათ შორის მეგობრული დამოკიდებულება), თანაც, წინა დღეს რაზემეულის საბჭოს სხდომა იყო და იქაც ამ ამბავზე გვქონდა ლაპარაკი. როცა ვოგონებმა საუბარი დაიწყეთ, თუ როგორ მოვიქცეულიყავით, თანაც სათითაოდ თითოეული ბიჭი დავახასიათეთ; თურმე ჩვენს ლაპარაკს კარებთან მდგარი ბიჭები უსმენდნენ, ისინი ყვირილით შემოცვივდნენ საკლასო ოთახში, თქვენ ვინ გეკითხებათ ჩვენს დახასიათებასო. ჩვენ მათი დაწყნარება შევძელით და ვუთხარი კიდევ, თუ რატომ წამოვიწყეთ მათზე საუბარი. მათ ისევ

აყალ-მაყალი ატეხეს, მაგრამ ჩვენსა და სხედნიეროდ, მათ შორისაც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც დანარჩენები დააწყნარეს და გვითხრეს, აბა გვითხარით, რა არ მოგწონთ ჩვენს მოქმედებაშიო. ბევრი ვისაუბრეთ, შემდეგ, ისინიც (ალბათ მიხვდნენ შეცდომას) გამოვიდნენ, ვილაპარაკეთ შინ თუ გარეთ ჩვენს საქმიანობაზე და აქვე გადავწყვიტეთ, ყოველ შაბათს, გაკვეთილების შემდეგ შეგკრებილიყავით და გვემსჯელა ერთმანეთის მოქმედებაზე, ერთმანეთისათვის პირში გვეთქვა თითოეულის ნაკლზე, ამასთან ერთად მთელი კვირის მანძილზე თუ ვინმე დისციპლინას დაარღვევდა, მასზეც გვესაუბრა, დამაშავე გავკვიცხა, და თუ საჭირო იქნებოდა, დავხმარებოდი კიდევ; შემდეგ ჩვენი მოსაზრება კლასის ხელმძღვანელს გავაცანით, მასაც ძალიან მოეწონა ეს ამბავი და საბოლოოდ შევთანხმდით, რომ შაბათი დღე ჩვენი გულითადი საუბრების დღედ დავგვენიშნა.

სკოლიდან შინ გახარებული დავბრუნდი, მინდოდა ჩემი სიხარული სხვებისთვისაც გამეზიარებინა. სიხარულს გული ვერ იტევდა (ეს ხომ, არა მარტო ჩემი, რა თქმა უნდა, ყველა ჩემი თანაკლასელი ვოგონას სურვილიც იყო). სახლში დედას ვუამბე ყველაფერი, ვიფიქრე, ეს ამბავი გაეხარდება-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. მან მაშინვე შემომიბტია, — სწორედ ეს გაკლდა, რომ სკოლაში გაკვეთილების შემდეგ დარჩენილიყავიო.

მისმა სიტყვებმა გული მატკინა. ბევრიც ვიტყრე და გადავწყვიტე თქვენთვის მომეწერა, როგორ მოვიქცე, მივატოვო და უარი ვთქვა ჩემი და ჩემი მეგობრების წამოწყებებში მონაწილეობის მიღებაზე? მარტო ვისწავლო, ნიშნებზე ვიფიქრო და არავითარ საზოგადოებრივ საქმიანობას არ გავეკარო? თუ ისევ განვაგრძო მონაწილეობა პიონერულ საქმიანობაში, მე ხომ მალე კომკავშირის რიგებში უნდა შევიდე, რაზემეულის საბჭომ რეკომენდაცია უნდა მომცეს, მერე და როგორ? მერე და როგორ მიყვარს პიონერული მუშაობა, მირჩიეთ რამე...“

...კარგად ჩაუკვირდით ამ წერილს. როგორ ფიქრობთ, ანგარიშგება-არჩევნებზე ზოგჯერ მშობლებიც ხომ არ მოვიწვიოთ? იქნებ ჯობდეს თვალნათლივ ვუჩვენოთ ჩვენი საქმიანობა. ჩავახდლოთ ჩვენს გატაცებაში, დავანახოთ პიონერული აქტივის მიერ წამოწყებული საინტერესო საქმე, რომელიც ასე გვიზიდავს


და მის შესრულებას კი დროს უტოვებდებოდა, სწორედ გაკვეთილების შემდეგ დარჩენილი დრო.

პიონერული მუშაობისათვის, თუ არა გაკვეთილების შემდეგ, აბა როდისლა რჩება მოსწავლეს დრო? ვფიქრობთ, ნატო არ უნდა მოსწყდეს თანატოლთა ცხოვრებას, ვოგონას ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს;

ისე, როგორც ნატოსა და მის მეგობრებს დაუთქვამთ შაბათი დღე გულითადი შეხვედრებისათვის, სწორედ ამ დროს იგებენ ხოლმე ბავშვები თუ ვინ რით არის გატაცებული, ვის რა შეუძლია, რა წაიკითხა, რა აწუხებს თუ ახარებს, სწორედ ასეთ გულითად საუბარში გაიგებთ, რომ თქვენს რაზემეულში არის წიგნის მოყვარული (იქნებ წიგნის მოყვარულთა კლუბიც შექმნათ) და კოლექციონერი (იქნებ ნორჩ ფილატელისტთა მიერ შეგროვილი მარკეტებით დიდი ოქტომბრის 60 წლისათვისადმი მიძღვნილი გამოფენაც მოაწყოთ), სპორტსმენი (მასწავლებელთან ერთად ხომ შეიძლება მიარწიოთ, რომ თითოეული „მშდ“ ნიშნოსანი გახდეს?); ბევრი მოსწავლე სწავლობს მუსიკალურ სკოლებში (მათი აქტიური მონაწილეობით განა არ შეიძლება მუსიკალური სადამოს ჩატარება?) და ასე შემდეგ...

გაკვეთილების შემდეგ დრო, ეს ის დროა, როცა თითოეული თქვენთავანი მასწავლებლის დავალების შესრულების შემდეგ, თუ მას ვინიერულად დაგეგმავს, თამაშსაც მოასწრებს, მხატვრული ლიტერატურის კითხვასა და საზოგადოებრივი დავალების პირნათლად შესრულებასაც. რა კარგია, როცა სწავლაში ხუთიანებისა და ოთხიანების გვერდით მოსწავლეს აშშვენებს საზოგადოებრივი დავალების აქტიური შემსრულებლის, ინიციატივანის, მეგობრობის მოყვარულ და თავისი კოლექტივის საუკეთესო ორგანიზატორის, პიონერული აქტივისტის სახელი!

რაზემეულის საბჭოს თავმჯდომარეც, იქნებ ნატოსავით შენი სკოლის პიონერულ კოლექტივში სხვებსაც უჭიროთ? ანგარიშგება-არჩევნებისადმი მიძღვნილ შეკრებებზე, მაშინ, როდესაც მთელი წლის მუშაობის გაანალიზებას შეუდგებით, პირველ რიგში ნუ გამოგრჩებათ თითოეული პიონერის ცხოვრება, მასზე ზრუნვა და დახმარება...



კურდღლის თათი

ჩვენი კლასის მორიგეებს ზურიკელამ ამას წინათ კურდღლის თათი მოგვიტანა ღუნღულა და პაწაწინა. მთელი კლასი ახმაურდა, შემოვარტყით ირგვლივ წრე და: — ეს რა არის? — რისთვის გინდა? — რისთვის? დაფის გასაწმენდად! — სად იპოვე? — ვინ გაჩუქა? — რას გაჩუქდი, გვითხარ ბარემ! — ზურიკელას შეკითხვები სეტყვასავით დავაყარეთ. — რომ არ მაცლით, როგორა ვთქვა? — გააგრძელა ზურამ სიტყვა, — თქვენც ხომ იცით, მე და მამას ნადირობა ძლიერ გვიყვარს. ჰოდა, იმ წელს სანადიროდ რომ ვიყავით ტაიგაში, ეს კურდღელი ჩემი ხელით

ბ ი ვ ი ჭ ი ჭ ი ნ ა კ ე

მხატვარი
ელშარდ ამგოკაძე

გავაგორე აი, მაშინ... — ტაიგაში ბრძანდებოდი?! — დიახ, რაო, არა გჯერა? დღემდე მხოლოდ ოთხჯერ ვიყავ, კიდევ წავალ მრავალჯერაც... — აფრიკაში არ აპირებ? — აფრიკაში უკვე გახლდით. იქ იმხელა ლომი ვნახე... — ნაღდი ლომი?! — დიახ, ნაღდი! — მერე ისიც გააგორე? — არა, მაგრამ იცი... ცოტა შევეყოყმანდი, რომ შევხედე, მეტისმეტად შემეცოდა. უხ, იმხელა ლომი იყო, პირღია და თვალებრიალა. მე და მამას, გეფიცებით,

ორ ნაბიჯზე ჩაგვიარა. უცებ ვანო გაუბრაზდა: — ზურა, არა, არ გაქვს გული! დიდი ლომი შეგეცოდა, მერე ისიც აფრიკული! კურდღელი კი ერთი ციცქნა, ჩვენი ტყეთა ბინადარი, შენი ხელით გააგორე, სამართალი თქვი, სად არის?! — მართალია! — ყოჩაღ, ვანო! — ახარხარდით ყველა ერთად: — ზურა უნდა დაისაჯოს, თოფი უნდა ჩამოერთვას! — მეტისმეტი სიცრუისთვის დამნაშავედ თავს თუ არ თვლის, ასორმოცჯერ ყურის ძირში გაიპერტყოს კურდღლის თათით! — ვარ, ვარ, ვარო დამნაშავე! — თითქოს მართლა შეკრთა ზურაც. — ჰი, რამდენი მოგატყუეთ! — ხითხითებდა ეშმაკურად.



„პიონერია“ ლაბკაპეპოზია

1976 წლის აპრილში უფრონალ „პიონერის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი წერილი სათაურით — „ღრმად მწამს“. ამ დღის შემდეგ მრავალი წერილი მივიღე ჩემი თანატოლებისაგან, რომლებიც მეგობრობას მთავაზობდნენ. დღითი-დღე იზრდებოდა ჩემი მეგობრების რიცხვი, რაც ძლიერ მახარებდა მე.

ახალგაზრდობილი მეგობრები: გივი თინიკაშვილი (გორიდან), ლია ძაგნიძე (ვანის რაიონის, სოფ. ხალხინოდან), მურადი რამაზანოვი (აზერბაიჯანის სსრ, სოფ. ალიბადიდან), ლია სანაძე (მახარაძის რაიონის, სოფ. ლაითურიდან) და სხვები წერილობით მატყობინებდნენ ყველაფერს, რაც კი რამ მოხდა საინტერესო მათ ცხოვრებაში; მწერდნენ სკოლაზე, პიონერთა რაზმეულზე, თავიანთ რაზმებსა და რგოლებზე, მათი ბარათები მეგობრული სიტოზით და სიყვარულითაა აღსავსე.

მართალია, ჭერ ჩვენ ერთმანეთი არც კი გვინახავს, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ჩვენს მეგობრობას.

მე მინდა გულთბილი მადლობა გადავუხადო უფრონალ „პიონერის“ რედაქციას, რომლის საშუალებითაც ამდენი ერთგული მეგობარი შევიძინე.

მანია ბრეზვამძე,

რუსთავეის 21-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



ზამთარი და ნაკადული

არც შემოდგომას გაუმართლა ბედმა — რამდენიმე კვირის წინათ ამაცი, ხვავითა და ბარაქით გალაღებული ახლა საცოდავად დაკონკილიყო. ასეთი ხვედრით გაბოროტებულმა ერთიანად მიგლიჯ-მოგლიჯა ბუნების გახუნებული სამოსი და ჯაფრამოყრილი თითქოს აღარც აპირებდა წასვლას. მაგრამ ზამთრის მაყრიონმა — სუსხმა და თოვლის ფანტელებმა — დედაბუნებას ზამთრის მოახლოება აუწყა თუ არა, შემოდგომამაც სწრაფად აიკრიფა გულა-ნაბადი.

შემოდგომის მიერ გაძარცული ბუნება ზამთარმა დაისაკუთრა. თეთროთმიანმა და გულსუსხიანმა მოხუცმა მოღრუბლული თვალებით გადახედა მთა-ბარს და ბამბასავით თეთრი, სუსხით მოქსოვილი მოსასხამი გადააფარა. ყველამ ირწმუნა ზამთრის ძლიერება... თუმცა, არა! — ტირიფებში მორაკრაკე ანკარა ნაკადულმა დახია ზამთრის მოსასხამი და ისევ ხტუნვა-ხტუნვით განაგრძო გზა.

ზამთრის ყველაზე ერთგულმა ვეზირმა — ბოროტმა სუსხმა უმაღ აცნობა თეთრ მეფეს ნაკადულის ურჩობა.

მეფე გაწყრა, გაშმაგებულმა დაიქინა ყინულის კვერთხი და ვეზირიც უმაღ მიუხედა სურვილს.

მეორე დღით ყინულის ბორკილებით შებოჭილსა და გათოშილ ნაკადულს უხმოდ დასცქეროდნენ ყინვისაგან გაფიჩხული, წელში მოხრილი, ცრემლმეყინული ტირიფები.

მაგრამ ნაკადული არ დადუპულა. ისევ ფეთქავდა მისი წმინდა, გამჭვირვალე გული. ფეთქავდა გაზაფხულის მაცოცხლებელი ძალის იმედით, იმედით იმისა, რომ კვლავ უმღერებს გაზაფხულის ნაზ, ჭრელ-ჭრელ ყვავილებს თავის წკრიალა სიმღერას სიცოცხლეზე, ბუნების წარმტაც ფერებზე.

გიორგი ბრატულიჩი,

თბილისის ლეხელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატი, IX კლასი.

ისეთი რწმენა მომეცა, დღეს ერთი-ორად ავმალდი, ფრთები შემეხსა არწივის, გავღონიერდი, გავლალდი.

ნაზ არსებად რომ მსახავდით, ნახვით — ქვასაც წვენს გავადენ, შევებში ყველა სიძნელეს, მიზანს ჩირაღდნად ავანთებ.

სადაც სამშობლო გამგზავნის, წავალ წარბშეუხრელადა, ყამირზე, ბამზე, ან კიდეც — ენგურის დასაბმელადა.

ავიტან ყველა ვასაჭირს, არ დავიშურებ ძალასა, უქმად წუთსაც არ დავკარგავ, დავგმობ ურჩს, მაჩანჩალასა.

რამ მომცა რწმენა ასეთი, რამ გამილალა ფიქრები? დღეიდან, ჩემო კარგებო, კომკავშირელი ვიქნები!

მარან ძმანაშვილი,

თბილისის 103-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

გამოგზილოება

დადგა ჩემი წასვლის დღე, ყველას ვემშვიდობები, მაცილებენ ჟღერტულით მოჭიკჭიკე მერცხლები.

მოჩუნხუნე წყაროები, ფრთაფარფატა პეპლები, ცხრაჯვარი და შათრის ზღვა, ნიკორწმინდის კედლები.

გული მწყდება, რომ ვშორდები მთავორიან სერებს, რაჭის ლამაზ მინდვრებს, საოცნებო ველებს.

მაგრამ რა ვქნა, მიიწურა სკოლის არდადეგები, მომელოიან მერხები და ჩემი მასწავლებლები.

აოზა მებრელიშვილი,

თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, III-ა კლასი.

თეთრი ციდან ფიფქი ცვივა,
ფარფატა და ქათქათა.
თოვლის პაპამ მოგვიტანა
ჩურჩხელები, თათარა.

მოგვიყვანა თოჯინები —
ლამაზები, მორჩილები.

ავყიყინდით პატარები,
მორთულ-მოკაზმულები.
რა კარგია თოვლის პაპა, —
გაგვიხარა გულები.

ნინო ხაბიაშვილი,
თბილისის 31-ე საშუალო სკოლა,
II კლასი.



ნორე კორეასონდენგთა ჟურნალი № 3

გაზაფხული გვეწვია

მზეწვია ვარ მზეწვია!
გაზაფხული გვეწვია!
გვეწვია და იცით როგორ?
მოიარა მთები, ზღვები,
მოგვაყარა მზის სხივები.
ავგიმღერა ჩიტუნები,
გაგვიხარა ბიჭუნები,
გავგიღვიძა ყვავილები;
ენძელები, გვირილები.
ამოიდგა იამ ენა
და ფოთლები წამოხარა,
ამოვიდა ახლო ტყეში,
გაზაფხული მოგვახარა.

ვენერა კანთელაძე,
ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა,
X კლასი.

მთაწმინდის კანთაოვნი

ლამაზია შემოდგომა თბილისში,
ძალზე ლამაზი. ქვაფენილები, ტრო-
ტუარები წითელი, ყვითელი, ვარ-
დისფერი ფოთლებით ისე აფორაჯ-
დება, თვალი უკეთესს რას ნახავს.

შემოდგომის ფერადოვანმა დილამ
მთაწმინდაზე, უკვდავი ქართველი
მგოსნების სავანეში ამომიყვანა. აქი-
დან საოცრად მომხიბლავი ჩანს მშო-
ბლიური, მარად ძველი და მარად
ახალი ქალაქი.

უსაზღვრო მოკრძალებით ვდგავარ
ჩემი ერის დიდ აღამიანთა სამუდამო
განსასვენებელში. აქაც ფოთოლცვე-
ნაა. ფრთხილად, ფარფატით ეფინე-
ბიან ხეთა ფოთლები ძვირფას სამა-
რეებს, თითქოს ზამთრის წინ მათი
ჩათბუნება სურთო. მეც მაცვივიან
მხრებზე, თმაზე და რაღაც გამოუთქ-
მელ განცდებს ბადებენ გულში: მინ-
და მეც ვუმღერო მამულისთვის თავ-
დადებას, ლამაზ სიცოცხლეს, უკვ-
დავებს.

ნინო ნიჭურაძე,
თბილისის 62-ე საშუალო სკოლა, VI² კლასი.

ბ უ ს ე რ ტ ი ა ნ

ჩვენ სოფელში დიდი სახლი გვაქვს. ყოველ საღამოს ბუხართან ვსდებით. ზებრასავით ზოლებიანი შპალერი იატაკს არც თუ ძალიან ესადაგება, მაგრამ მაინც ლამაზად გამოიყურება. კარის გვერდით ჩამრთველი სოკოსავით ამოზრ-
დილა და ჭერიდან ჩამოკონწიალებულ თავმომწონე ჭაღს თითქოს ეუბნება,
— რას იპრანჭებენ ნეტავი? მე რომ არ ვიყო, შენ რისი მაქნისი იქნებოდი, მე
ავანთებ ხოლმე და მევე ჩაგაქრობო.

ერთ კედელზე ორი სურათია გვერდიგვერდ გაკრული, ერთიდან მამაჩემის
ბაბუა შემომცქერის, მეორედან — მისივე ბებია.

პატარა, თეთრ მაგიდაზე ტელევიზორი წამოსკუებულა კოხტად; კე-
დელზე აცოცებულ ანტენას თავი ფანჯარაში გაუყვია და ნიავის ყოველ ამო-
სუნთქვაზე გაციებულებით თუ შეშინებულებით კანკალებს...

ყველაზე ღირსშესანიშნავი მაინც პირდაღებული ბუხარია. აგუგუნდება
ხოლმე საღამომობით ბუხარი და ცეცხლის ათინათს სურათებს მოაფენს, გამოა-
ცოცხლებს, აალაპარაკებს, მე მესმის მათი საუბარი.

— გახსოვს, ამ ასიოდე წლის წინათ ჩვენი სოფლის მღვდელი, რომ გა-
ლახე? — ეუბნება სოფო ბებია მელიტონ ბაბუას და მხიარულად კისკისებს.

— ეხ, ახლა ღონე აღარ მერჩის, თორემ გადმოგეტებოდი ამ ჩარჩოდან და
იმ თავზედ დათოს მაგრა ავუწვევდი ყურებს. გახსოვს, მარშან ტყემლის კურ-
კებს რომ გვესროდა? — ბრაზობს მელიტონ ბაბუა.

მერე ბუხარში ცეცხლი თანდათან ინავლება და სურათების ჩურჩულიც
წყდება.

ზია ნარიშკინი, თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.



ნატარმორტი.

დათო კინწურაშვილი,
ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა, V კლასი.

სინჯი სახანი

ყოველ
საათში
თითო
სახლი



იგლუ ესკიმოსების ქოხია. მას გაყინული თოვლის ბლოკებისაგან აგებენ. ამას წინათ, იგლუს მსგავსი საცხოვრებელი სახლები გაჩნდა პერუში. ეს სახლებიც ძალზე სწრაფად ააგეს, მაგრამ საშენ მასალად ამჟერად თოვლი არ გამოუყენებიათ. თავდაპირველად მრგვალი ფორმის, თავშობაწოპა ბალონს ბერავდნენ. შემდეგ კი მორეზინებულ ქსოვილზე შპრიც — რეგოლვერით ასხურებდნენ პენოპოლიმერის ხსნარს. იგი სწრაფად მაგრდებოდა და ზუსტად ერთ საათში სახლიც მზად იყო.

ფრანგი ინჟინრების მიერ გამოგონებულმა ამ მეთოდმა შესაძლებელი გახადა პერუში ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ დაზარალებულებისათვის სულ მოკლე დროში აგოთ იგლუს მთელი ქალაქი.

ტიტანი
თოვლის
ბუნდას
კბავს



ამერიკელი ასტრონომების მიერ ამ ბოლო ხანს მოწყობილმა დაკვირვებებმა და გამოანგარიშებებმა დაადასტურა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ყველაზე დიდი „მთვარე“, რომელიც ჩვენი მზის სისტემის პლანეტების გარშემო ბრუნავს, არის სატურნის თანამგზავრი ტიტანი. მისი დიამეტრია 58000 კილომეტრი, — 900 კილომეტრით მეტი, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ. საფუძველს არ არის მოკლებული ასტრონომთა აზრი იმის შესახებ,

რომ ტიტანი არ შეადგენს მყარ მთის ქანს, როგორც ადრე თვლიდნენ, არამედ ეს არის გაყინული აირის ვეება ბურთი, რომელიც უზარმაზარ თოვლის გუნდას მოგაგონებს.

ქარიშხალს
სარბმლობას
მოაქვს



ქარიშხალმა, რომელმაც 1976 წლის გაზაფხულზე გადაუქროლა ჩრდილოეთ ევროპას, სერიოზული ზარალი მიაყენა ამ ქვეყნებს: ძირიანად მოთხარა სახლები, ხეები, დაამსხვრია და ნაპირებზე გამოიჩია გემები... მაგრამ, როგორც კოპენჰაგენელი ოკეანოგრაფები ამტკიცებენ, ამ ქარიშხლებმა დამდგარ ბალტიის ზღვაში დიდძალი, უანგბადით მდიდარი წყალიც შემოიტანა.

მოკლე დროში ბალტიკამ ჩრდილოეთის ზღვიდან იმდენი მაცოცხლებელი ტენი მიიღო, რამდენსაც ჩვეულებრივ რამდენიმე წლის განმავლობაში იღებს ხოლმე. ეს პროცესი შეიძლება სისხლის გადასხმის ეფექტს შევადაროთ. სწავლულთა პროგნოზით ბალტიის წყალი წლეულს გაცილებით სუფთა იქნება, გამრავლდება თევზი, უფრო აქტიურად გაიზრდებიან წყალმცენარეები.

ლინჯა
ტბის
ზედაპირზე



ანტარქტიდის ყინულოვან მთებში ჩაკარგულია თბილი ტბა. ყინულის სქელი ფენის ქვემოთ წყლის ტემპერატურა თითქმის 30°-ს აღწევს. მეცნიერები დიდხანს კამათობდნენ ამ უჩვეულო მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე: ერთნი თვლიდნენ, რომ ტბის ფსკერზე იყო ცხელი წყარო, მეორენი კი ამტკიცებდნენ, ეს ეფექტი მზის ენერჯის შედეგიათ.

ამ ცოტა ხნის წინათ კა-

მათი შეწყდა. ტბის ყინულის ზედაპირზე დადგეს საბურღავი დანადგარი. პირველივე სინჯმა აჩვენა, რომ ფსკერზე არავითარი გეოთერმული აქტივობა არ არსებობს — ტბის ფსკერი სრულიად ცივია. მაშასადამე, ტბის წყალს მზე ათბობს. მზის თეორიის მომხრეები ამას ასე ხსნიან: ყინულის ფენას, რომელიც ტბის ზედაპირს ფარავს. აქვს ლინზის ფორმა, და სწორედ ის აგროვებს ერთ ფოკუსში მზის სხივებს. რის წყალობითაც ტბის წყალი ასეთ მაღალ ტემპერატურას აღწევს.

„არვალის“
ქალღმრის
ნაცვლად



გამოანგარიშებულია, რომ მთელ მსოფლიოში 1950 წ. დაიხარჯა 42 მილიონი ტონა ქალღალი, 1970 წ. — 268 მილიონი ტონა, ხოლო 1985 წ., როგორც ვარაუდობენ, დაიხარჯება 700 მილიონ ტონაზე მეტი. ხომ არ შეიძლება რამით მისი შეცვლა? — ამ კითხვას პასუხის გასაცემად მუშაობენ ბევრი ქვეყნის ინჟინრები და მეცნიერები.

ერთ-ერთმა ფრანგულმა ფირმამ ამ ცოტა ხნის წინათ შეიმუშავა ახალი მასალა „არვალი“, რომელმაც, მისი გამოგონებლების აზრით, უნდა შეცვალოს ქალღალი. ეს გახლავთ პოლიეთილენის ფისისაგან დამზადებული ფირი. იგი ძალზე თეთრია, გაუმჭვირვალეა, წყალში არ იხსნება, არ იჭმუჭნება, მაგრამ ადვილად იჭრება მაკრატილით. პოლიგრაფისტებმა დაადასტურეს ამ ახალი ნივთიერების ფართო შესაძლებლობანი — „არვალი“ ვარგისია ყველა სახის ბეჭდვისათვის.

„ელმო 2 000“



ასე ეწოდება ელექტროსატვირთო მანქანას, რომ-

მელიც დიდი ხანი არ არის, რაც ბულგარეთის გზებზე გამოჩნდა, იგი სოფლის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის პირმშოა. სატვირთო მანქანა ძირითადად პლასტმასისაგანაა დამზადებული. ტექნიკურ სიახლედ ითვლება სტარტისა და სიჩქარის იმპულსური რეგულატორი, რის მეშვეობითაც იზოგება ენერჯია. აკუმულატორის დასამუხტავად საკმარისია ელექტროქსელში რამოდენიმე წუთით ჩართვა. მანქანის ტვირთი იდგა შეადგენს 2,5 ტონას, სიჩქარე კი საათში 60 კილომეტრს.

ხმაური კპურნავს?



ჩვეულებრივ, საავადყოფოებში ხმაური არ უყვართ. ყოველმხრივ ცდილობენ ავადმყოფებისათვის მშვიდი, წყნარი ატმოსფეროს შექმნას. თუმცა, როგორც პროფესორი ფელიჩე ვისსალი ამტკიცებს, ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით, ხმაურს სარგებლობა მოაქვს.

ხშირად საავადმყოფოებში მოჰყავთ სამანქანო კატასტროფაში მოხვედრილი ადამიანები, რომლებიც ვარდებიან კომა ტო ს უ რ მდგომარეობაში — ცნობიერების დარღვევა, რეფლექსების მოშლა, სისხლის წნევის დაცემა, სხეულის რეაქციის შესუსტება გარეშე გამიზიანებელ ე ბ ზ ე. პროფესორმა ვისსალი მ ასეთ ადამიანებს დაუწყო ხმაურით მკურნალობა. ავადმყოფს სასთუმალთან უკიდებენ რეპროდუქტორს, რომლითაც გადასცემენ მიმავალი მატარებლის ხმაურს, მანქანების საყვირის ხმას, ხმამაღალ მუსიკას. 450 პაციენტზე დაკვირვებამ უჩვენა, რომ ახალი მეთოდით მკურნალობისას კომატოზური ავადმყოფები ორჯერ უფრო სწრაფად იკურნებოდნენ.

მასიური ლეონები



არწივი, რომელსაც ბრჭყალებში გვეხვებით
ლი მოექცია.

— ეს არის არწივი, რომლის სა-
ხითაც გველაპარაკებიან ჩვენი წი-
ნაპრები, ჩვენი ქურუმები და სიზ-
მართა ჩიტი, მეტი აღარ უნდა ვი-
როთ, — თქვა მეთაურმა.

მაშინ ინდიელებმა თავიანთი ღმე-
რთი ქვის მოედანზე დაასვენეს და
ტოტებისა და ქვებისაგან სახლების
აშენება დაიწყეს. ასე გაჩნდა ტბაზე
პატარა სოფელი.

სოფელი დღითი დღე დიდდებოდა
და ლამაზდებოდა, დაბოლოს დიდ
ქალაქად იქცა, ქალაქ მეხიკოად.

ზოგიერთები წერენ, რომ მას მე-
ხიკო ჰქვია ინდიელთა პირველი ქუ-
რუმის ხსოვნის აღსანიშნავად, რო-
მელსაც მეხიტილი ერქვა.

ინდიელ მეხიკო

ერთ დღეს ცხოველები ინდიელს
მიუახლოვდნენ და უთხრეს:

— არ გვინდა დალონებულს რომ
გხედავდეთ, გვთხოვე, რაც გსურს,
და მიიღებ.

ინდიელმა თქვა:

— მინდა ბედნიერი ვიყო.

ბუმ უთხრა:

— ვინ იცის, რა არის ბედნიერე-
ბა? უფრო ადამიანური რამე
გვთხოვე.

— კარგი, — დასძინა ინდიელმა,
— მინდა მშვენიერი ვიყო.

ქორმა უთხრა:

— ჩემსავით მშვენიერი იქნები.

— მინდა ძლიერი ვიყო.

— ჩემსავით ძლიერი იქნები, —
უთხრა იაგუარმა.

— მინდა დაუღლელად ვიარო.

ირემმა უთხრა:

— მე ჩემს ფეხებს გაჩუქებ.

— მინდა წვიმის მოსვლა ვიწინას-
წარმეტყველო.

— ჩემი გალობით გაუწყებ, —
უთხრა ბუღბუღმა.

— მინდა ეშმაკი ვიყო.

მელამ უთხრა:

— მე გასწავლი როგორ გახდე
ეშმაკი.

— მინდა ხეებზე ვცოცავდე.

ციყვმა უთხრა:

— მე ჩემს ბრჭყალებს მოგცემ.

— მინდა წკვარამში ვხედავდე.

— ჩემს თვალებს გათხოვებ, —
უთხრა კატამ.

— მინდა სამკურნალო ბალახები
ვიცოცადე.

გველმა უთხრა:



ლეონეს მახიკოზა

ინდიელ ქურუმს ხის ჩრდილში
ეძინა. სიზმარში ჩიტი გამოეცხადა,
რომელიც სიმღერას მოჰყვა:

— ტიუი, ტიუი, ტიუი.

აქედან წავიდეთ ჩქარა!

ქურუმმა გაიღვიძა და თავის ტომს
უთხრა:

— ჩემი სიზმრების ჩიტმა მაუწყა,
რომ გრძელ გზას უნდა გავუღდე.

ინდიელები დამორჩილდნენ, რად-
გან იგი ყველას უფროსი იყო. ჩააქ-
რეს თავიანთი კერია, მხრებზე წა-
მოიკიდეს თავიანთი ღმერთი, თან წა-
იყვანეს შვილები, მშობლები, წაი-
ღეს წინაპართა ძვლები და გზას გა-
უღდნენ. მრავალ ხალხთა შორის გან-
ვლეს, მაგრამ მათ ყველგან მტრუ-
ლად ხვდებოდნენ.

განვლო ბევრმა წელმა. ქურუმი
მიიცვალა. იგი ახალმა შეცვალა.
ისიც მიიცვალა და სხვებიც, მაგრამ
ინდიელები დაუსრულებლად განა-
გრძობდნენ გზას.

ახალგაზრდა ინდიელები კითხუ-
ლობდნენ:

— სად უნდა შევჩერდეთ?

მოხუცი ინდიელები ამბობდნენ:

— სად უნდა შევისვენოთ?

მეთაურები უპასუხებდნენ:

— შორს, ძალიან შორს, სადაც
შეგვხვდება არწივი, რომელსაც
ბრჭყალებში გველი ეჭირება. გველი
ის ხალხებია, ჩვენ რომ გვდევნიდ-
ნენ, არწივი ჩვენი მეფეა.

და თუმცა არ ჰქონდათ არც ერთი
აკვანი თავიანთი შვილებისათვის,
არც ერთი ტაძარი თავისი ღმერთის-
თვის, ინდიელნი მაინც განაგრძობ-
დნენ გზას წყნარნი და უღრტვინ-
ველნი, რადგან სიზმრების ჩიტი
მიუძღოდა მათ.

ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს დი-
დი ტბის ნაპირს მიაღწიეს. ტბის
შუაგულში კლდოვანი, უკაცრიელი
კუნძული იყო, კუნძულის შუაგულ-
ში — დიდი კაქტუსი, კაქტუსზე —

სივრცეში „ირმის ნახტომიდან“ ძლიერ შორს.

ცთომილ ვარსკვლავად ქცეულმა ტუქპატლმა სივრცეში იფრინა და როცა მიწას მიაღწია, მრავალ, მრავალ ნაწილად დაიმსხვრა: წითელი ალისა და ყოველი ნატეხის ოქროსგან ცეცხლი წარმოიქმნა; გალურჯებული ღრუბლისა და ოქროსაგან ამოიზარდნენ მეცნიერებანი და ხელოვნება. კვამლისაგან წარმოიქმნენ მიწის ყველა ბინადართა კეთილი სულები და ყოველი ნაპერწკლისაგან ღმერთი გამოვიდა. ამიტომაც ინდიელებს ამდენი



საქრებულო

სხოველუკი



ღმერთი რომ ჰყავდათ, ამიტომ იყვნენ ინდიელები ასე ჰკვიანები, ასეთი ხელოვანნი და ბრძენნი. ამიტომაც, რომ შექმნეს ხელოვნების ამდენი ნაწარმოები, რომლებიც ჰერკიდევ არიან გამოფენილნი სან ხუან ტეოტიუაკანში, მიტლასში, პალენკეში* და მრავალ მხარეში.

ესპანურიდან თარგმნა
ლია ზავზავაძემ.

* სან ხუან ტეოტიუაკან, მიტლა, პალენკე — ძველი მექსიკური ქალაქები.

ბუნებაში, კერძოდ ცხოველთა სამყაროში, ადამიანის ყურადღებას დიდი ხანია იქცევს განსაკუთრებული ცხოველები: ყველაზე სწრაფი, ყველაზე მოქნილი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე ჰკვიანი, გიგანტურები და ა. შ.

ბევრს აინტერესებს, რომელი ცხოველებია ყველაზე სწრაფები? უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ რეკორდსმენებს ვხვდებით, როგორც ხმელეთზე, ისე წყალშიც.

ბევრი ცხოველი თავის არსებობას ბუნებისაგან მინიჭებულ სწრაფ ფეხებს უნდა უმადლოდეს. ბალახისმჭამელები ასეთი გზით თავს აღწევენ ხოლმე მტაცებლებს; იმისათვის, რომ თვითონაც არ გახდეს უფრო ძლიერი ცხოველის მსხვერპლი, მტაცებელიც გაქცევით შველის თავს...

ცხოველთა სამყაროში ყველაზე სწრაფად გეპარდი ითვლება. ამ ძუძუმწოვარას კატისებრთა ოჯახიდან, გარკვეულ დისტანციაზე 500 — მეტრამდე, შეუძლია საათში 105 — 115 კილომეტრი სიჩქარით ირბინოს. სხვა გიგანტური კატისებრები — ლეოპარდი, ლომი და ვეფხვი — უდავოდ ასევე შესანიშნავი სპრინტერები არიან, მაგრამ საათში საშუალოდ მხოლოდ 70 — 80 კილომეტრს გარბიან. ეს ცხოველები ასეთ სისწრაფეს, მხოლოდ მცირე მონაკვეთზე ავითარებენ.

გეპარდის შემდეგ სისწრაფეში პირველობა გაზელებს — ველებსა და სავანებში მცხოვრებ ამ გარეულ თხისნირებს ეკუთვნით. ასეთებია, მაგალითად, აფრიკული გრანტისა და ტომსონის გაზელები, რომლებიც საათში 90 კილომეტრ სიჩქარით დარბიან. ამერიკელი ზოოლოგი დოქტორი როი ჩეპმენ ენდრიუსის ცნობით ერთხელ მისი ვილისის წინ მონღოლური გაზელების ჯოგმა კარგა ხნის განმავლობაში ირბინა საათში 80 კილომეტრი სისწრაფით. ამერიკასა და ინდოეთში გავრცელებული ზოგიერთი ანტილოპა, ასევე შუა აზია-


სა და ამიერკავკასიაში მცხოვრები ჯირინები სირბილში როდი ჩამოუვარდებიან გაზელებს. თავიანთ სტიქიაში მყოფი ამ ცხოველების სისწრაფის დასადგენად ზოგჯერ ავტომობილის სპიდომეტრიც კი უძლურია. ირმები არ არიან ასეთი სწრაფები: გარკვეულ მანძილს ტყეში ისინი სულ 45 — 50 კილომეტრი სიჩქარით გაირბენენ ხოლმე.

დოლის ცხენები იშვიათად გარბიან საათში 60 — 70 კილომეტრზე მეტს, თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მათ შორის ყველაზე საუკეთესოებს 300 — 400 მეტრ მანძილზე საათში 80 კილომეტრზე მეტიც განუვითარებიათ. მაგრამ აქ ერთი გარემოებაა ყურადსადღები: გეპარდი, ზოგიერთი ანტილოპები და გაზელები კი სჯობნიან ცხენს სისწრაფეში, მაგრამ წონითაც გაცილებით ნაკლებს იწონიან. სხეულის სიმსუბუქე სირბილის დროს კი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია. განა მართლაც საკვირველი არ არის, რომ მორბენალ ცხენს შეუძლია თავისი მხედრითურთ კილომეტრი მანძილი ერთ წუთში გაირბინოს, როდესაც 60 კილოგრამიანი გაზელი იმავე მანძილს — ნახევარ წუთში გაირბენს? საქმე იმაშია, რომ დახარჯული ენერგია ხშირად მასის პირდაპირპროპორციულია.

დოლის ცხენს სისწრაფეში რამდენადმე ჩამორჩება აზიური გარეული ვირი. ეს უკანასკნელი საათში 50-55 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს, ზებრა — 60-65 კილომეტრს.

მიუხედავად სხეულის სიმსუბუქეში დიდი უპირატესობისა, უსწრაფესი მწვერვლები ტოლს ვერ უდებენ საუკეთესოდ მორბენალ ცხენს. მათი სარეკორდო მაჩვენებლები 70 კილომეტრს არ აღემატება. მეტ-ნაკლებად ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდებიან გარეული ძაღლებიც. საერთოდ, ძაღლებს შორის, ყველაზე სწრაფი აფრიკული მონადირე ძაღლია, რომელიც ჭირბილით ზოგიერთ ანტილოპასაც კი სჯობნის.

სირბილის უნარი ბევრ ფაქტორზეა



გეპარდი

დამოკიდებული, კერძოდ, კიდურების ძვლების სიგრძეზე, კუნთების ძალასა და შეკუმშვის უნარზე, ნერვულ იმპულსებზე, რომლებიც არეგულირებენ კუნთების მუშაობას და ა. შ. ჩემპიონები და რეკორდსმენები, როგორც წესი, მოქნილები, მოხდენილები, კუნთებიანი, გრძელფეხებიანი არიან, ერთი სიტყვით, მთელი სხეული სისწრაფისაკენ არის გამიზნული. მაგრამ, აქაც ვხვდებით გამონაკლისებს და სხვათა შორის, არაერთს.

პირდაპირ გვანცვიფრებს ზოგიერთი გარეგნულად მოუხეშავი, ტლანქი ცხოველის სისწრაფე. მაგალითად, მართორქა საათში 60 — 70 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს და უსწორმასწორო პრერიებში ავტომობილსაც შეუძლია გაეჯიბროს. მიუხედავად მოკლე ფეხებისა და მძიმე სხეულისა, აფრიკაში მცხოვრებ მეჭვჭვიან ღორს შეუძლია საათში 45 — 50 კილომეტრი, ე. ი. ირემივით სწრაფად ირბინოს. თვით ისეთი გიგანტი, როგორიც აფრიკული სპილოა, გარკვეულ მანძილზე საათში 40 კილომეტრზე მეტი სიჩქარით გარბის, მოუხეშავი ჟირაფი 45 — 50 კილომეტრს, თითქმის ამდენივე სიჩქარით გარბის ჯირკვივით ბიზონი.

მაგრამ ცხოველთა შორის ვხვდებით რეკორდსმენებს... სიზანტემიც. სახელდობრ, ტროპიკებში მცხოვრები ზარმა-

ცა კილომეტრამდე მანძილს მთელ საათს უნდებდა.

ასლა უფრო კონკრეტულად გვიჩვენებს ნალთა შორის ყველაზე სწრაფზე — გეპარდზე. უნდა ითქვას, რომ ამ ცხოველის ანატომია — პირდაპირ სიბრბილისათვის არის შექმნილი. ძალიან გრძელი და კუნთებიანი სხეული, მწვეგარი ძალღვივთ ქვემოთ დაწეული მკერდი, სხეულის შეკუმშვისა და გაშლის საოცარი უნარი, მაღალი, ძლიერი ფეხები, რომელთა დახმარებითაც ცხოველი ისე მაგრად აიტყორცნის სხეულს მიწიდან, რომ თითქმის მიფრინავს ჰაერში. გრძელი, ღონიერი, მსხვილი კული თითქოსდა საჭის როლს ასრულებს ამ განსაცვიფრებელ მანქანაში.

გეპარდი საკმაოდ დიდი ცხოველია: სხეულის სიგრძე 130 სანტიმეტრს აღწევს, კული 75 სანტიმეტრს, იწონის — 50 კილოგრამს, ჩალისფერ მოთქროსფრო სხეულზე გაბნეულია შავი და მურა ლაქები. პატარა თავზე მკაფიოდაა გამოხატული დიდი, ნაღვლიანი თვალები, საიდანაც პირისაკენ ჩასდევს ორი მუქი ზოლი, რაც ცხოველის იერს მელანქოლიურ გამომეტყველებას აძლევს.

გეპარდი ხშირად მარტო, ზოგჯერ კი თავის ოჯახთან — მდედრთან და ორსამ მოზრდილ კნუტთან ერთად ნადირობს გახელებზე, ჯეირნებზე, ანტილოპებზე და სხვა პატარა ჩლიქოსნებზე.



საქართველოს
ენციკლოპედია

მათემატიკის ისტორიამ ცოტა როდი იცის არაჩვეულებრივი მათემატიკური ნიჭის ადრეული გამოვლინების შემთხვევა. საკმარისია გაეიხსენოთ შვეიცარიელი ლეონარდ ეილერი, ნორვეგიელი ნილს ჰენრიკ აბელი, ფრანგი ევარისტ გალუა. მაგრამ ამ მხრივაც შეუდარებელი უდიდესი გერმანელი მათემატიკოსი კარლ ფრიდრიჰ გაუსი, რომლის დაბადებიდან 200 წელი სრულდება მიმდინარე წლის 30 აპრილს.

გაუსმა ლამის აკენიდანვე გამოიჩინა თავი: მის ზღაპრულად ნაადრევ განვითარებაზე ლეგენდებია შემონახული. მოგვითხრობენ, მაგალითად, რომ სამი თუ ოთხი წლის ბავშვი ყოფილა, როცა მამამისის, შადრევნების ოსტატის, გერპარტ დიდერიჰის ხმამაღალ ანგარიშში ჩარეულა და გაუსწორებია; სახტად დარჩენილი მშობელი ამით მიმხვდარა, რომ მას მოიჯარადრეები ატყუებდნენ...

როგორც კი თვლაში გაიწაფა, პატარა გაუსი გამუდმებით აკვირვებდა დედ-მამასა და ნაცნობებს რიც-

ხვითი დამოკიდებულებების მყისიერი დაჭერისა და გაანგარიშების დაუჯერებელი სისწრაფითა და სიზუსტით (შემდგომ თურმე ხშირად ხუმრობდა ხოლმე — თვლა უფრო ადრე ვისწავლე, ვიდრე ლაპარაკი). მისი ბიოგრაფი ფონ ვოლტერჰაუზენი იგონებს: „განცვიფრებული ვრჩებოდით, როგორ შეეძლო რიცხვების მართვა და რა იოლად იმორჩილებდა მათ... ზეპირი გამოთვლებში, რასაც, თუმცა-და, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც აძლევდა, ვერავინ ვერ უწევდა მეტოქეობას... იცოდა და ახსოვდა ყველა ლოგარითმის პირველი ათობითი ციფრები და მათ ზეპირი, მიანლოებითი გამოთვლების დროს იყენებდა...“.

7 წლის კარლ ფრიდრიჰი საერო სკოლაში მიაბარეს. ერთხელ, იქაურ მასწავლებელს მოსწავლეებისათვის მიუცია ამოცანა გარკვეული რიცხვების ჯამის მოძებნაზე, ზოგი წყაროს მიხედვით, მოსანახი იყო ყველა მთელი რიცხვის ჯამი 1-დან 100-მდე, სხვა წყაროებით — 1-დან 20-მდე (ჩვენ პირველ ვარიანტზე შევჩერდებით). მასწავლებე-

ასევე კურდღლებზე, ფრინველებზე და ა. შ.

გამოდევნებითი ნადირობა სულ რაღაც წამებში მთავრდება. როგორც ყველა მონადირე ცხოველი, რომლისთვისაც მთავარია სისწრაფე, გეპარდი იყენებს დარტყმის ძალას, რათა მსხვერპლი წააქციოს და მაშინვე ყელში სწვდეს.

ნადირობს რა. გამოდევნებით და არა ჩასაფრებით, გეპარდის სტრატეგია უფრო მგლისას მოგვაგონებს, ვიდრე კატისას. პატარა გეპარდები წვრთნის შესანიშნავ და ხანგრძლივ სკოლას გადიან დედასთან და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ მხოლოდ სრული სიმწიფის პერიოდში. ნადირობის საიღუმლოებებს შვილებს უფრო მამრი აზიარებს ხოლმე.

გეპარდები ველებში, სავანებსა და უდაბნოებში ბინადრობენ.

გაწვრთნილ გეპარდებს, შევარდნების მსგავსად, თავის დროზე ხშირად იყენებდნენ ჯეირნებზე, ანტილოპებზე და კურდღლებზე სანადიროდ. ამავე მიზნით იყენებდნენ მათ ასევე ძველ ეგვიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, უფრო მოგვიანებით ინდოეთში, ირანსა და სომხეთში. გეპარდების გაწვრთნა სანადიროდ მხოლოდ მაშინ იძლეოდა დადებით შედეგს, როდესაც ეს ცხოველი ტყვეობაში



გეპარდი თავის ბოკვერებიტურთ

დე ასწრებდა ყოფითი და სანადირო ჩვევების გამომუშავებას მშობლებთან.

თუმცა გეპარდი — ეს მაღალორგანიზებული და განვითარებული ცხოველი

ტყვეობაში თვინიერი ხდება, მაგრამ არ მრავლდება და დიდხანსაც არ ცხოვრობს.

არნოლდ გეპჰარკონი,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ლი თურმე ვარაუდობდა, რომ იმ დროს, რომელსაც შევირდები რიცხვთა გრძელი მწკრივის შეჯამებას მონადომებდნენ, თავისთვის გამოიყენებდა. შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი გაოცება, როცა ამოცანის პირობა სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა, ნორჩი გაუსი კი წინ გამოვიდა, „გავაკეთო“, განაცხადა და მასწავლებლის მაგიდაზე გრიფელის პატარა დაფა შემოღო; დაფაზე სწორი პასუხი ეწერა: 5050. იმ კლასში ბევრი მოსწავლე კარლ ფრიდრიხზე უფროსი იყო და ზოგი მათგანის მიერ გვიან მიღებული ამოხსნა სწორიც არ გამოდგა...

ახლანდელი მერვეკლასელისათვის (რომელიც უკვე იცნობს არითმეტიკული პროგრესიის წევრთა ჯამის ფორმულას) ეს ამოცანა სათა-

მაშოა: რაკი $S_n = \frac{(a_1 + a_n)n}{2}$, „გაუ-

სის“ შემთხვევისათვის მივიღებთ $S_{100} = \frac{(1+100)100}{2} = 5050$;

მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოთხრობილი ამბავის დროს, კარლ ფრიდრიხი ათიოდე

წლისა ყოფილა და პროგრესიები ალბათ არ ეცოდინებოდა. მაშ როგორ გადაწყვიტა მან დავალება? ჩვენ ეს არ ვიცით და ვერც ვერასდროს ვერ შევიტყობთ, ოღონდ რატომ არ შეგვიძლია დავუშვათ ასეთი რამ: გაუსმა გონებაში ელვის სისწრაფით გაამწკრივა რიცხვები 1, 2, 3, ..., 100, ქვეშ მიუწერა იგივე რიცხვები შებრუნებული რიგით (ერთს — ასი, ორს — ოთხმოცდაცხრამეტი და ა. შ. ასს — ერთი), „დაინახა“, რომ ყოველ სვეტში შეკრების შედეგად ერთსა და იმავე რიცხვს 101-ს ლებულობდა და რომ ასეთი სვეტი სულ 50 ექნებოდა. 101-ის 50-ზე ზეპირად გამრავლება კი მას, ანგარიშის მისი საარაკო უნარით, ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. თუ ჩვენს მიერ „აღდგენილი“ სურათი სწორია, მაშინ გამოდის, რომ მომავალ გენიოსს იმთავითვე ბედნიერი იდეისათვის მიუგნია (ეგებ ეს სულაც მისი პირველი იდეა იყო); შემდეგში გაუსს თურმე იმდენი იდეა ებადებოდა, რომ პირდაპირ არ იცოდა, რა ექნა მათთვის და ქაღალდზე მხოლოდ ნაწილი მათგანის გადატანას ახერხებდა.

...ქაბუკი გაუსის მათემატიკური განვითარება გიგანტური ნაბიჯებით გაგრძელდა და უკვე 19 წლისამ გადაწყვიტა ისეთი პრობლემა, რომელიც მანამდე 2 000 წელზე მეტ ხანს ამოუხსნელი „იღო“: აჩვენა, რომ ფარგლისა და სახაზავის საშუალებით შეიძლება წესიერი ჩვიდმეტკუთხედის აგება; 22 წლისას კი დოქტორის ხარისხი მიენიჭა ალგებრის ძირითადი თეორემის (ნებისმიერი n-ური ხარისხის ალგებრულ განტოლებას აქვს ნამდვილი ან კომპლექსური ფესვი) დამტკიცებისადმი მიძღვნილი დისერტაციისათვის. „დიდმა“ გაუსმა კიდევ უამრავი პირველხარისხოვანი აღმოჩენით გაამდიდრა არა მარტო მათემატიკა, არამედ მთელი რიგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ბევრი თქვენგანი, ვინც მომავალ პროფესიოდ მათემატიკას, ფიზიკას, ასტრონომიას ან გეოდეზიას ამოირჩევს, არა ერთხელ და ორჯერ გაიგონებს ამ სახელს. გაუსს სიცოცხლეშივე შეერქვა „მათემატიკოსთა მეფე“ და დიდებით მოსილი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ჭაქმატიონი

განყოფილებას ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ დამსახურებული
მწვრთნელი

შოთა ინჟიკიშვილი

გოგონებში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი მზია წერეთელი იყო პიონერთა პირველი საკავშირო და მოსწავლეთა საკავშირო პირველობების, საქართველოს ქალთა ჩემპიონატების პრიზიორი. ვასული წლის აგვისტოში რუმინეთის ქალაქ ბრაშოვოში 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა პირველ საერთაშორისო ტურნირში 17 წლის მზია წერეთელმა მეორე ადგილი დაიკავა, ნახევარი ქულით ჩამორჩა ვლადის ორგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატს, ქალთა მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეს 17 წლის პეტრა ფოსტელს.

მოგვყავს თბილისის ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირში გათამაშებულ ერთერთი საინტერესო პარტია.

სტრატეგიული და ტაქტიკური იდეების მამკვიდრებელი

(პოზიციის მტკაპორფოზი და ღირებულებათა გადაფასება. სადებიუტო კომპლემენტების გამბიტური გადაწყვეტა)

პარტია № 2

ფრანგული დაცვა
(გურგენიძის სისტემა)

ამ დაცვას დახურული პოზიციისაკენ მივყავართ დამახასიათებელი ჩახერგილი ცენტრით (თეთრი პაიკების ჯაჭვი d4 — e5 და შავი d5 — e6). გურგენიძის სისტემაში ამ დებიუტის შეფასება და წარმართვა მნიშვნელოვან ევოლუციას განიცდის. თეთრები ჩქარი განვითარებისაკენ მიისწრაფვიან და დაუდევრობას იჩენენ შორს წასული მნიშვნელოვანი e5 პაიკის ბედისადმი (რაც ერთი შეხედვით, უფიცი მოყვარულის სტილშია). როგორც ვიცით, ფიგურათა რაც შეიძლება ჩქარი განვითარება (მორფის მიერ შემოტანილი მთავარი სიახლე) ღია დასაწყისების უპირველესი პრინციპია. განვითარებაში და ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად ერთი ან რამდენიმე პაიკის, იწვიათად ფიგურის შეწირვას გამბიტი ეწოდება (იხ. „პიონერის“ № 12 1975 წ.) ყოველივე ეს ღია პოზიციებს ეხება, ხოლო, როგორც მსოფლიოს ექსპერიმენტი მოლანდიელი მაქს ეივე ამბობს, „დახურულ მდგომარეობაში მდლიდურობა იქნებოდა

პაიკის შეწირვით ჩქარ განვითარებაზე თამაში“.


თეთრები: მ. წერეთელი
(ოსტატობის კანდიდატი. საქართველო)
შავები: ა. პიპაილინი
(საერთაშორისო ოსტატი. იუგოსლავია)
თბილისი, 1775 წ.

- 1. e4 e6 2. მფ8.
- აქ კლასიკური გაგრძელებაა 2. d4.
- 2. ... d5 3. მც8 მფ6 4. e5 მდ7 5. d4 c5 6. კხ5.
- მხგავს პოზიციებში ასეთ სვლას e5 პუნქტის გასამაგრებლად ჭერ კიდევ ნიშნოვინი აკეთებდა.
- 6. ... მც6.

გურგენიძესთან ლ. გრიგორიანმა აირჩია (გორი, 1968) 6. ... ა6 7. კ:დ7 კ:დ7 8. კე8 მც6 9. დ:ლ7 10. 0—0! ფრანგულ დაცვაში სადებიუტო სტრატეგიის ახლებური გადაწყვეტა. ღრმად გააზრებული ჩანაფიქრით თეთრებს დებიუტი გამბიტურ ყაიდაზე გადააყვავთ: 10. ... მ:ე5 11. ე:ლ1 მ:ე 12. ხ:ლ1 უცნაური ამბების მოწმენი ვართ: ცალ-ცალკე აღებული, თეთრების თითქმის ყველა სვლა ამ დებიუტისათვის უჩვეულა და ზოგიერთი მათგანი კი ანტიპოზიციურად და პარადოქსულადაც კი გამოიყურება! სინამდვილეში პაიკთა გაცვლებები და შეწირვები თამაშის გახსნას ახლებური (ნებით თუ უნებლიეთ ამ საქმეში შევებოც თანამონაწილეობენ), რაც ფრიალ მნიშვნელოვანია, რამეთუ ხაზების გახსნახლსაყრდენი უკეთ განვითარებული მხარისათვის. 12. ... ა5 13. კ:ფ4 აბ 14. მ:ე5 მ:ე 15. მ:დ5! ლ:ც5 16. ე:ე5 0—0—0 17. მე7+ და თუ ახლა 17. ... ლ:ე7, მაშინ 18. ეა5 ხ6 19. ლ:მ:ს! ამ პარტიაში ადგილი ჰქონდა არა მარტო პოზიციის მტკამორფოზს (დახურულის გადახვლა ღიაში), არამედ e5 პუნქტისაკენის ჭერ თეთრებს ეპყრათ, შემდეგ შავებს (როგორც გამოირკვა დროებით!), საბოლოოდ კი ისევ თეთრები დაეუფლნენ.

ყურადღება მიაქციეთ: რა დიდ როლს თამაშობს ტაქტიკა ამ პარტიაში.

- 7. 0—0 ლხ6 8. კე8 cd 9. მ:დ4 მ:ც:ე5.
- შავები არ მარტო დაეუფლნენ მნიშვნელოვან e5 პუნქტს, არამედ პაიკიც მოიგეს! მართალია, ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ განვითარებაში, მაგრამ მათი პაიკების ჯაჭვი (d5, e6, f7) თითქოს საიმედოდ იფარავს ცენტრში დარჩენილ მეფეს...
- 10. მ:ც6! ლ:ე7.



11. მ:დ5!!
მხედრის შეწირვით თეთრები ხსნიან ცენტრალურ ვერტიკალს, რის შემდეგ თავს იჩენს შავების ცუდი განვითარება.

11. ... ed. 12. მ:ე5 ლ:ე5 13. ე:ლ1
მოხდა პოზიციის სახეცვლილება — მტკამორფოზი, რასაც მოჰყვა ღირებულებათა

თა გადაფასება — განვითარებაში უპირატესობამ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ისეთმა დიდმა მატერიალურმა უპირატესობამ, როგორიცაა „მეფის“ ფიგურა!

პარტიის ბედი ფაქტურად გადაწყვეტილია.

- 13. ... ლე6.
- თუ 13. ... მფდ8, მაშინ 14. კხ6 + აბ 15. ე:ე5 მ:ე5 16. ლ:დ5+ მდ7 17. ე:დ1±.
- 14. კ:დ4 მფდ8 15. ე:ე6 მ:ე 16. ლგ4! მფ6 17. ლფ5 ე:ე7 18. ლ:გ7 ე:გ8 19. ლხ6 მ:ე4 23. კ:დ7+ მფ:დ7 24. ლხ5+ მფ:ც7 ე:გ6 20. ლმ2! კ:დ7 21. ლა5+ მფ:ე8 22. ე:ლ1 მ:ე4 23. კ:დ7+ მფ:დ7 24. ლხ5+ მფ:ც7 25. ე:ე5 მფ:დ8 26. ლ:ხ7. ე:ც8 27. ც:პ1 ე:ც5 28. ე:ე4!

ხარისხის შეწირვით თეთრები სპობენ შავების აქტიურ ფიგურას და მასთან ერთად კოორდინაციის დამყარების მკრთალ ცდასაც.


28. ... de 29. ლ:ხ7. შავები დანებდნენ.

ფინალური პოზიცია ღირებულებათა გადაფასების კარგი თვალსაჩინოებაა — აქ ლაზიერი აშკარად ჭობია ორ ეტლს, მაშინ, როცა საერთოდ ორი ეტლი რამდენადმე ძლიერია ლაზიერზე. აქ უნებლიეთ ვგავონდებთ შემდეგი სიბრძნე: „თანხმობაა მიზეზი საერთო უძღურებისა“.

გურგენიძისა და წერეთლის პარტიებში სტრატეგიული სიტუაციისა და კომპინაციის მსგავსება აშკარაა. („სტრატეგიული და ტაქტიკური იდეების მემკვიდრეობითობა“). იხ. „პიონერის“ 1975 წ. № 12).

ამოხასხსნელად გვავაზობს: ჩვენი მკითხველის, ქ. ცხაკაიას გორკის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის, დამწყები კომპოზიტორის გორა ტყებუჩავას ოთხხვლიან ამოცანას, რომელიც მან უფურნალ „პიონერის“ 50 წლისთავს მიუძღვნა.

ბ. ტყეპუჩავა (ცხაკაია)



შამათი 4 სვლაში.

ველით თქვენს პასუხს.

„პიონერის“ 1976 წლის № 10-ში გამოქვეყნებული ალიოზინ-ბოგოლიუბოვის პოზიციაში შავები იგებენ 1. ... ლმ3—ე4 სვლით.

სწორად ამოხსნეს: გ. ტყეპუჩავამ (ცხაკაია), დ. ნაჭაპურიძემ (ჭუთაიხი), მ. ქიტუაშვილმა, კ. აბლაძემ, მ. და ზ. ბათიაშვილმა, ბ. მალაზონიამ, ზ. გოცირიძემ, მ. ქოქუამ, ი. დემურია, პ. და ზ. შელიძემ, ლ. დიდმელაშვილმა, გ. სანიკიძემ, ა. სანოძემ, შ. იათაშვილმა, რ. გუქაძემ, გ. საბაშვილმა (თბილისი), ხ. გურგენიძემ (რუსთავი), თ. დაფაჩიშვილმა (საგარეკო).



საქართველოს სახალხო სპორტის კავშირი



ლოვდები, ჩაყვინთე, უკანიდან მო-
უარე, ცალი ხელი ფეხზე შემოხვიე
და ერთდროულად მეორე ხელითა
და ფეხების ენერგიული მოძრაობით
წყლიდან ამოყვინთე, წყალწაღე-
ბულს ნიკაპში მოკიდე ორივე ხე-
ლი, თვითონაც ზურგზე გადაწევი
და ნაპირისაკენ გაცურე. ბუქსირების
დროს წყალწაღებულის პირი და
ცხვირი წყალში არ უნდა ჩაიმალოს.
შემდეგ ხელისგულები ისე შემოხ-
ვიე, რომ ლოყები და ყურები დაუ-
ფარო, და ახლა ასე გაცურე. შეიძ-
ლება მხრებში ხელების ჩაკიდება,
ან ცალ ილიაში ხელის ამოღება
და ისე ცურვა. თუ წყალწაღებუ-
ლმა დაგასწრო და ხელი კისერზე
შემოგხვია, მარცხენა ხელით იმის
იდაყვს ააწევი, მარჯვენათი კი მაჯაში
სწვდი, ქვემოთ ჩამოსწიე და მკლა-
ვი ზურგს უკან ამოუგრიხე. მერე უკ-
ან მოექცე და ისე შეეშველე, რო-
გორც წელიდან განგებარტით. თუ ხელი
უკანიდან შემოგხვია კისერზე, მა-
რცხენა ხელით მარცხენა იდაყვი
აუწიე, მარჯვენაზე კი მარჯვენა ხე-
ლი ჩაავლე მაჯაში, იდაყვში მოახრე-
ვინე და ზურგს უკან გადაუგრიხე.
თუ წყალწაღებულმა ტანზე ჩაგ-
ჭიდა ხელები, ცალი ხელით ნიკაპზე
მიაწევი. თუ ეს არ უშველის, ცხვირ-
პირზე ხელისგული დააფარე, მუხ-
ლით მიაწევი და მერე ხელი წელზე
შემოხვიე. თუ წყალწაღებული ფე-
ხებში ჩაგავლებს ხელებს, თავი ძირს
დაახრევინე, გვერდზე შეაბრუნე და
იმწამსვე შეგეშვება. არ არის გამო-
რიცხული ისეთი შემთხვევა, როცა
წყალწაღებული მაჯაში გწვდება. მა-
შინ ხელები მომუჭე და მაკები მკვე-
თრად შეაბრუნე გარეთ.

აქვე გვინდა რამდენიმე სხვა რჩე-
ვა-დარიგებაც მოგცეთ. იცურავე
მხოლოდ კარგად ნაცნობ ადგილებ-
ში. უცნობ ადგილას ცურვა, მითუ-
მეტეს, წყალში ნაპირიდან ხტომა
საშიშია. წყალქვეშ შეიძლება ლო-
დები, კუნძები, რკინის ნაჭრები ან
სხვა ათასი რაიმე იქნეს. ნუ შეცუ-
რავ მონიშნული ადგილის იქით; ნუ
მიუახლოვდები გემს. ნავიდან წყალ-
ში ნუ გადახტები. ჭამის შემდეგ ერთ-
ხანს წყალში შესვლა არ შეიძლება.
თუ ჩქერებში მოხვდი, ტყუილად ნუ
შეებრძობები, დინებას მიჰყევი და
ნელ-ნელა გადი ფონს. მორევში
მოხვედრისას რაც შეიძლება ღრმად
ჩაისუნთქე, ჩაიყურყუმელავე და
მკვეთრად გასცურე დინების მიმარ-
თულებით.

თუ აღამიანი წყალს მიაქვს და ის-
რჩობა, მას დაუყოვნებლივ უნდა
შველა. ოღონდ ისე უნდა მიუახლოვ-
დე, რომ თვითონ არ ჩაგჭიდოს ხელი,
თორემ ვეღარც იმას უშველი და
თვითონაც საფრთხეში ჩაიგდებ
თავს. წყალწაღებულს რომ მიუახ-

მონაწილეობს 3-დან 30-მდე მოთა-
მაზე, გოგონები და ვაჟები.

თამაში მიმდინარეობს დაახლოებით 2
მეტრზე უფრო მაღალშტამბიანი ხის
გარშემო, ვრცელ, თავისუფალ ადგილ-
ზე. თამაში კიდევ უფრო უკეთ აწყო-
ბა თუ თავისუფალ მიწოდორზე დავს-
ვამთ 2-3 მეტრი სიმაღლის და 5-10 სმ
ღიაშტამბის მრგვალ ბოძს.

თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურ-
თი. ხე სათამაშო ადგილის ცენტრია.
ხის გარშემო მთელი ფართობი გაიყო-
ფა 6 ნაწილად. ხიდან გატარებულია
ერთიმეორესთან თანაბარი მანძილით
დაშორებული 6 „სხივი“ (6 რადიუსი).
სხივების სიგრძე გრძელდება „მოედან-
ზე“ დაახლოებით 20 მეტრამდე. თვით
ხის გარშემო კი 5-დან 15-მდე მეტრი
რადიუსით შემოიხაზება წრე. წრის
მონაკვეთები (ნაწილები, სექტორები)
დაინომრება და თითოეულის მხარეზე
ხის ძირას ამოთხრება პატარა ორმო
„კუდებისათვის“. რაც უფრო მსხვილია
ხე და მეტია მოთამაშეთა რიცხვი, მით
უფრო მანერი სჯობს წრე.


მოთამაშენი განაწილებიან 6 თანა-
ბარ გუნდად. გუნდები კენჭისყრის სა-
შუალებით გაინაწილებენ მოედნის მო-
ნაკვეთებს.

კენჭისყრისათვის ყოველი გუნდი გა-
მოყოფს თითო მოთამაშეს. ისანი შეარ-
ჩევენ სხვადასხვა საგანს (ჩხირებს, კენ-
ჭებს და ა. შ.) და მათ დაისომებენ. ამ
საგანებს ჩააბარებენ ერთ-ერთ მოთამა-
შეს, რომელმაც არ იცის, რომელი სა-
განი, რომელ გუნდს ეკუთვნის. ეს უკა-
ნასკენელი შემოვილის მოედნის გარშე-
მო, თითოეულ საგანს მოედნის ყოველ
მონაკვეთში (სექტორში) ჩააგდებს და
მონაკვეთებიც ამის მიხედვით აღმოჩნ-
დება განაწილებული. გუნდების მოთა-
მაშენი ნებისმიერად განლაგდება, გა-
იფანტება თანაოდ მონაკვეთზე.

სხვადასხვა გუნდების მოთამაშეებს,
ერთიმეორის მონაკვეთებზე გადასვლის
უფლება არა აქვთ.

ყოველი გუნდიდან წინასწარ შერჩე-
ულ თითო მოთამაშეს, შეუძლია ნების-
მიერად გადაადგილდეს თავისი გუნდის
მონაკვეთზე და მის გაგრძელებაზეც
წრის გარეთ.

თამაშს იწყებენ პირველი მონაკვე-
თის მფლობელი გუნდის მოთამაშენი.
დამწყები მოთამაშე დადგება წრის გარეთ
და ბურთს ხეს ესვრის, ისე, რომ მორ-
ტყმის შემთხვევაში აირეკლოს, თვითონ
კი წრეში შედის. ამ დროს ექვსივე
გუნდის მოთამაშენი მზად არიან, რად-
გან მოსალოდნელია ბურთი წავიდეს



დებს იმ მონაკვეთის ერთ-ერთი მოთამაშე, სადაც ბურთი შეაჩერებს.

თუ ბურთი ხეს ასცდა, მტყორცნელი გუნდის მოთამაშეს „მოეზმება“ ერთი „კული“. კული პატარა ქვა ან ჩხირია, რაც ჩაიდება ხის ძირას ბურთის მტყორცნელი მოთამაშის მოედანზე ამოთხრილ პატარა ორმოში.

თუ ნატყორცნი ბურთი ხეს ასცდა და მოედანსაც გადასცდა, წრის გარეთ, მისი ჰაერში დაჭერის უფლება აქვს თითოეული გუნდის მხოლოდ იმ მოთამაშეს, რომელსაც შეუძლია წრის გარეთ იდგეს და რომლის მონაკვეთის მიმართულებითაც ბურთი წავიდა.

თუ ეს შესძლო, მის გუნდს 2 ქულა ეწერება. ასეთი ბურთი ყველა შემთხვევაში მანვე უნდა მიაწოდოს.

ჩვეულებრივ პირობებში მოთამაშეებმა თითოეულ გუნდში და საერთოდაც, ბურთი რიგ-რიგობით უნდა ტყორცნონ, ვიდრე ტყორცნა ყველას არ ერგება. ბურთის ტყორცნის გამეორება შეუძლია მხოლოდ თავისი ნატყორცნი ბურთის ჰაერში დამჭერს.

თითო „კული“ თითო წამგებიანი ქულაა და შეჯამების დროს გუნდის საერთო ქულათა ოდენობას აკლდება.

გამარჯვებულთა ადგილები განაწილ-

დება იმის მიხედვით, თუ რომელი გუნდი რამდენ ქულას მოგროვებს.

ქულებს თვლის და ანგარიშობს აღმზრდელი, ხელმძღვანელი. წინასწარი შეთანხმებით შეიძლება დაწესდეს, რომ ბურთი ხეს ტყორცნონ არა რიგ-რიგობით, არამედ მხოლოდ იმ მოთამაშეზე, რომელმაც ბურთი შეაჩერა ან ჰაერში დაიჭირა.

თუ მოთამაშეთა რიცხვი მცირეა, შეიძლება სამ გუნდად გაყოფა, მაშინ თითოეული გუნდის კულთვნილება გახდება ერთიმეორის გვერდში მდებარე ორორი მონაკვეთი (სექტორი); შეიძლება მთელი მოედნის ორ ნაწილად, შუაზე გაყოფა და ორი გუნდის თამაშიც. თუ ექვსი მოთამაშეა, შეიძლება თითო სექტორში თითოთი ითამაშოს.

მოთამაშეებს უფლება აქვთ დათქვან, რამდენ ქულამდე (5, 10, 15, 20, და ა. შ.) ითამაშებენ. რომელი გუნდიც ქულათა დათქმულ ოდენობას პირველი შეასრულებს, გამარჯვებულიც ის იქნება.

საერთოდ, წინასწარი შეთანხმებით, გუნდებს უფლება აქვთ თამაშში ზოგიერთი ცვლილება შეიტანონ, მაგალითად, ქულათა დათქმულ ოდენობას პირველი შეასრულებს, გამარჯვებულიც ის იქნება.

ზაპარნი შარაზადიშვილი.

ყველი მონაკვეთის მიმართულებით და ასცდეს კედელს ხეს. ყველა მოთამაშე ცდილობს არაკლილი ან აცდენილი ბურთი ჰაერში დაიჭიროს. ბურთს კი ცხადია იმ გუნდის მოთამაშენი დაიჭერენ, ვისკენაც ბურთი აირეკლება ან გადაიტყორცნება (აცდენის შემთხვევაში).

ბურთის ხეზე მორტყმაც და სხვის მიერ ჰაერში დაჭერაც თითო ქულას იძლევა და ბურთს მიაწოდებს ჰაერში მისი დამჭერი მოთამაშე, ხოლო თუ ბურთი ჰაერში ვერ დაიჭირეს, მას მიაწო-

საკითხავი

მ. მიძაბარიძე — თქვენ გულის გასახარად (ლექსი) გარეკ. 2 გვ.	5. ფაილში — იქნებ ნატოსავით სხვებსაც უჭირთ? (წერილი) 19
პიონერული საღამო ჩვენი რესპუბლიკის	6. ჰინინამ — კურდღლის თათი (ლექსი) 21
მასწავლებელთა თავყრილობას 1 გვ.	აიხი 22
თ. ჩხანიძე — მე ამ ქუჩაზე ხშირად დავდივარ (ლექსი) 1	საინტერესო სიახლენი 24
ნ. კილასონია — წვიმა კი მღეროდა (წერილი) 2	მექსიკური ლეგენდები (თარგმანი ლ. ჭავჭავაძისა) 25
მ. მერაბიშვილი — თრიალეთის ციალი (მოთხრობა, გაგრძელება) 3	ბ. ბეგეშორი — ყველაზე სწრაფი ცხოველები (წერილი) . 27
მ. მიძაბე — მესაზღვრეები (ლექსი) 10	თ. ებანოძე — გაუსი — პატარა და დიდი (წერილი) . . . 28
დ. ქობიაშვილი — ზამთარი (ლექსი) 10	მხედრონი 30
ბ. ფურცხვანიძე — დეღამიწა და ცა (წერილი) 11	წყალწაღებულის გადარჩენა (წერილი) 31
შენი უცხოელი თანატოლები 13	თამაშობები 31
ს. მეთელაური — თედო პაპას ნამშობი (მოთხრობა) . . . 14	საზრიანის ხელში გარეკ. 3 გვ.
	ცხრაკლიტული გარეკ. 3 გვ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — იოსებ სამსონაძისა.



საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.
სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭორია, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შაფერიანი, ლევან ჩიქვანია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14. გადაცემა ასაწყობად 21/1-77 წ. ხელმოწერილია დისაბუქლად 21/III-77 წ. ქაღალდის ფორმატო 60X90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 267. ტირ. 146.000. უფ 08192.

ფახი 20 კაბეიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




ძაფის კოჭი საკმაოდ მარჯვე მოსახმარია გადამწვარი და საბუღეში ჩარჩენილი ნათურის ყუნწის ამოსაღებად.

სარეცხის მანქანის რეზინის მილი იოლად სკდება, მაგრამ გამოცვლას ნუ იჩქარებ. დამსკ-



დარ ადგილებს ჯერ ქლიბი გაუსვი, მერე ზედ რეზინის წებო წასცხე და იზოლენტი შემოახვიე. (ლენტი სამ ფენად უნდა დაეხვიოს და წებოც უველა ფენას ცალცალკე წაეცხოს.)


დაბადების დღეს ტორტზე, ხშირად იმდენ სანთელს ამაგრებენ და ანთებენ, რამდენი წლისაც არის იუბილარი. ეს სანთლები ტორტზე იღვენთება და ამ ნუგბარს სურნელებას და გემოს უკარგავს. ტორტს ზემოდან ქაღალდისაგან გამოჭრილი რგოლი დაა-




დე, ამ რგოლში ამონაქრები გააკეთე და შიგსანთლები ჩაამაგრე.

კარადისა თუ მაგიდის უჯრას ერთი ავი ზნე სჭირს ხოლმე — გაეჭედება ჩარჩოში და მის შეწევას ან გამოწევას დიდი ჯაფა სჭირდება. ეს რომ არ მოხდეს უჯრის იმ ნაწილებს, რითაც იგი ჩარჩოებშია ჩამული სანთელი გაუსვი.

ხორცის საკებ მანქანაში ნივრის, ხახვის ან სხვა აქროლადი პროდუქტების გატარების დროს,




სახლში რომ სუნი არ გავრცელდეს და დიასახლისის თვალები არ აუცვრემლდეს ურჩიეთ ხორცსაკების ხორთუმზე ცელოფანის პარკი ჩამოაცვას.




თუ მიხვდებით

რამდენი კუბია აქ?

რამდენი კუბი აკლია?



მოტორის ლილვი მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. რომელი მიმართულებით მოძრაობს ბორბალი?



აქ დაბეჭდილი სურათი და მისი ნეგატივი ერთმანეთისაგან ათიოდე ლეტალით მაინც განსხვავდება. რომელია ეს ლეტალები?



შარბაღ

სპორტულ სირბილს რაცა ჰქვია, თუკი კარგად გახსოვს, სიტყვას უნდა მოაცილო. დასასრული ასო, ყვავილების დედოფალი ნაწილია ბოლო, — რიგით წინა ხმოვანია შესაცვლელი მხოლოდ. შეკრებასაც ბარემ ნულარ დააყოვნებ დიდხანს. — გასართობის სახელია, რომელია, მითხარ.

შ. ამირანაშვილი.

პასუხი № 2-ში
მორთავსეზულ
„ცხრაკლიტულზე“
ა მ ო ც ა ნ ა
ათი ვაშლი
გამოსანები

დაფა, ბიგელი, გრიგალი, კარი, წყალი.

სამკვირი ნიღბი

მხატვარი
ელეზარ
ამგობაძე

